პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და წით.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმიანი მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ერთის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 9 ხუთშაბათი, 26 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 9

41
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

განახლდა ლოზანას კონფერენციის მუშაობა. საფრანგეთის გაზეთების ცნობით, ოსმალეთის დელეგაცია [illegible] გზას დაადგება, რომელსაც იცავდა თებერვალში პირველი ლოზანის კონფერენციაზე.

საფრანგეთის გაზეთები სწერენ, რომ თუ ჩიჩერინი არ დაესწრო ლოზანას კონფერენციას მაშინ კონფერენციის მუშაობა უნაყოფო გამოდგება,

რურის ოლქში ბელგიის ჯარებს აძლიერებენ ახალი ნაწილების მიმატებით

საქ. კომუნ. პარტ. ტფილ. კომიტეტი

წინადადებას იძლევა ხუთშაბათს, 27 აპრილს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი წამოაყენონ თვით სარაიონო კომიტეტებმა და უჯრედებმა.

ტფ. კომ. მდივნის მაგიერ ვ. ივანოვი.

კვირას ა. წ. 29 აპრილს, დილის 11 საათზე,

საქართველოს კ. პ. ც. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების ბინაზე

პრესის დღის 5 მაისის მომწყობ კომისიის სხდომა.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) პერიოდულ პრესის გავრცელება (განაწილების აპარატი);
2) ტირაჟის გადიდება (გაზეთებზე კოლექტიური ხელმოწერა);
3) კონკურსი გაზეთზე ხელმოწერისათვის.

მოწვეულნი არიან ყველა გაზეთების რედაქტორები, სავაზეთო ტრესტის, ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობისა და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

ისევ ლოზანა

23 აპრილს კვლავ გაიხსნა ლოზანის კონფერენცია.

ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ ისევ დაიწყო მოლაპარაკება ანტანტასა და ანგორას შორის ოსმალეთის და საერთოდ ახლო-აღმოსავლეთის საკითხების შესახებ.

ამ „შესვენების" პერიოდში, თავის თავად ცხადია, მოპირდაპირე მხარეები არ ისხდნენ გულზე ხელდაკრეფილნი.

როგორც ვიცით, ლოზანის პირველ კონფერენციაზე აშკარად იჩინა თავი ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობამ, რომელმაც საგრძნობლად გახარა მათი ერთიანი ფრონტი ოსმალეთის მიმართ. სხვათა შორის, ეს იყო ერთი მთავარი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუშალა ანტანტას სავსებით მოეხრევინებია ქედი ოსმალეთისათვის.

ინგლისი და საფრანგეთი შეეცადნენ მორიგებას გავლენის სფეროთა საკითხში ლონდონის თათბირი, რომელიც გაიმართა ანგორის კონტრწინადადებათა განსახილველად და მათზე საერთო პასუხის შესამუშავებლად, მოწმობს, რომ ამ სახელმწიფოებმა თითქო გამონახეს საერთო [illegible] და ისინი შეთანხმებულად გამოვლენ ლოზანის განახლებულ კონფერენციაზე. ინგლისმა თავისი „ნეიტრალიტეტის" პოზიციით რურის საკითხში რამდენიმედ ხელი გაიხსნა თავისუფალი მოქმედებისათვის ახლო აღმოსავლეთში. ინგლისმა და საფრანგეთმა ერთმანეთს დაუთმეს ოსმალეთის და გერმანიის ხარჯზე.

ამგვარად, ახალ ლოზანას ერთი მთავარი განსხვავება ძველისაგან იქნება „მოკავშირეთა" ერთიანი ფრონტი ოსმალეთის წინააღმდეგ.

მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ლოზანის დღევანდელ კონფერენციაში მონაწილეობას არ იღებს საბჭოთა ფედერაცია. პირველ კონფერენციაზე ჩვენმა დელეგაციამ საერთო სიცხადით და კატეგორიულობით გადაშალა თავისი პროგრამა ოსმალეთის და ახლო აღმოსავლეთის პრობლემების შესახებ, პროგრამა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ანტანტის გამარჯვებულ იმპერიალიზმისათვის, ვინაიდან საბჭოთა თვალსაზრისი შეიცავდა ოსმალეთის სრულ სუვერენიტეტის ცნობას, საბჭოთა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას და ხალხთა თანასწორობას, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის საჭირო პირობების მოთხოვნას, ე. ი. სწორედ იმას, რის წინააღმდეგ მიმართულია იმპერიალიზმის მთელი პოლიტიკა — ამ შემთხვევაში პოლიტიკა ოსმალეთის და სხვა ოსმალეთის ხალხების დამონების და საბჭოთა რესპუბლიკების დახრჩობის.

დღეს, ლოზანას არ ესწრება ჩვენი რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენელი, რაც ინგლის-საფრანგეთს მეტ გასაქანს აძლევს ოსმალეთის და საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ თავის აგრესიულ პოლიტიკის გასატარებლად.

რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ამ გარემოებას მისთვის არ შეიძლება ჰქონდეს მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ის დღეს საკმაოდ ძლიერია და მტკიცე, რომ წინააღუდგეს ანტანტის განზრახვებს და გადაწყვეტილებებს, მიმართულთ ჩვენი რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ეს უფრო საზარალოა ოსმალეთისათვის, რომლის მეგობარი დამცველი იყო და არის საბჭოთა მთავრობა. ჩვენმა დელეგაციამ ლოზანის პირველ კონფერენციაზე გაამაგრა ანგორის პოზიცია.

მიუხედავად აღნიშნულ არა ხელსაყრელ პირობებისა ოსმალეთისათვის, უკანასკნელი მაინც მაგრად გრძნობს თავს. ანგორის მთავრობამ და მისმა დელეგაციამ განაცხადა, რომ ის არ დათმობს თავის მოთხოვნათა არც ერთ მნიშვნელოვან მუხლს, ის გადაჭრით მოითხოვს ოსმალეთის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლებას დასავლეთის სახელმწიფოების ოპეკისა და გავლენისაგან.

რა ალაპარაკებს ანგორას ასე თამამად?

ცხადია, რომ ოსმალეთის ხალხი ძველებურად მზად არის ყველა საშუალებებით დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. მაგრამ არა მარტო ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ანგორას ანტანტაზე ერთგვარ გამარჯვების იმედს უღვიძებს.

საქმე ის არის, რომ ოსმალეთის საკითხში შეიჭრა ერთი ახალი ფაქტორი, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს მისი ბედის გადაწყვეტისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ ე. წ. ჩესტერის კონცესიაზე.

მაშინ, როცა ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ევაჭრებოდნენ ახლო-აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილების საკითხში, ანგორამ დასდო კონცესია ამერიკის მრეწველებთან ადმირალ ჩესტერის მეთაურობით, კონცესია, რომლის მიხედვით მათ ეძლევათ საექსპლოატაციოდ მოსულის სანავთო წყაროები, უფლება ენიჭებათ აქ უდიდეს მანძილზე რკინის გზის გაყვანის და მადნის დამუშავების.

ამ კონცესიამ გავარდნილ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა ინგლის—საფრანგეთის მთავრობების და მრეწველთა წრეებში.

ნავთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის. ოსმალეთის საკითხიც უმთავრესად უდრის მოსულის ნავთის სასაკითხს.

ინგლისს მოსულის სანავთო წყაროების ექსპლოატაცია მიაჩნია თავის „ოდაურ" უფლებად. მასზე არა ნაკლებ პრეტენზიებს აცხადებს საფრანგეთიც.

ერთბაშად იცვლება მდგომარეობა და ამერიკა გამოდის მოსულის „მესაკუთრის" როლში.

ამერიკა, რომელსაც თავის სანავთო წყაროების დაშრეტის ლანდი დასტრიალებს თავზე, კარგა ხანია თვალებს აცეცებს მოსულზე. ლოზანის პირველ კონფერენციას დაესწრო მისი წარმომადგენელიც, მაგრამ მაშინ თითქო, როგორც „გარეშე მეთვალყურე". ის სინჯავდა ნიადაგს და ანგორასთან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა კონცესიის შესახებ. დღეს უკვე ვიცით ამ მოლაპარაკების შედეგი: საკონცესიო ხელშეკრულება უკვე დადებულია და დამტკიცებული. ამის შემდეგ ამერიკამ უკვე იგრძნო ძალა და ამიტომ მაც განაცხადა ენერგიული ტონით მისმა წარმომადგენელმა ეხლა გახსნილ კონფერენციაზე: „ამერიკის დელეგაციას აქვს ფართე უფლებები, რათა დაიცვას ამერიკის ინტერესები".

ამგვარად, ინგლისს და საფრანგეთს დღეს საქმე აქვთ არა მარტო სუსტ ოსმალეთთან, არამედ ყოვლის შემძლე ამერიკასთან, რომლის პრეტენზიებისათვის ანგარიშის გაუწევლობა არც ისე ადვილი საქმეა.

ოსმალეთმა ამ საშუალებას მიმართა, რათა წინააღუდგეს თავის ისტორიულ და გეოგრაფიულად ახლობელ მტერს ინგლისს. ანგორას იმედი აქვს, რომ ამერიკა ისე არ შეზღუდავს მის უფლებებს, როგორც ინგლისი. და ეს რამოდენიმედ მართალიც არის, როგორც ამერიკის შორეულ მდებარეობის, ისე მთელ რიგ სხვა პირობების გამო.

საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს ინგლისი ახლად შექმნილ ვითარების დროს?

საგულისხმოა ცნობა, რომ „ყველგან მყოფი" ურკარტი ცდილობს შეუთანხმდეს ჩესტერს კონცესიაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ინგლისი შეეცდება „მშვიდობიანი" გზით მოაგვაროს საკითხი ამერიკასთან. შესძლებს თუ არა ის ამას,— მომავალი გვიჩვენებს.

საერთოდ კი საინტერესო დიპლომატიური თამაში გადაიშლება ლოზანის კონფერენციაზე.

საბჭოთა ფედერაციის მშრომელნი ფხიზლად და ამავე დროს გულდამშვიდებით ადევნებენ თვალყურს ამ თაღლითობას, დარწმუნებულნი კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესთა შეუთანხმებლობაში და დაიმედებულნი თავიანთ ძლიერებაში.

ერთი რამ იციან მათ, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების გარეშე, მით უმეტეს მათ ნების წინააღმდეგ მიღებულ დადგენილებებს არ ექნებათ მათთვის რაიმე ძალა და სავალდებულო ხასიათი. ისინი მედგრად გაილაშქრებენ ყველა ისეთი ცდის წინააღმდეგ, რომელსაც მიზნად ექნება საბჭოთა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების შელახვა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

ეროვნული საკითხი

ამხ. სტალინის მოხსენება

ნაციონალური საკითხის კლასობრივი ბუნება.

მოსკოვი. 24 აპრილი. ამხ. რიკოვის მოხსენების შემდეგ 23 აპრილის დღის სხდომაზე მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე გამოდის ამხ. სტალინი. აღნიშნავს რა ნაციონალური საკითხის საერთაშორისო და შინაურ მნიშვნელობას და სერიოზულ როლს, რომელსაც ის თამაშობს პროლეტარული რევოლუციის საქმეში, ამხ. სტალინი ამბობს: „ნაციონალური საკითხის კლასობრივი შინაარსი ჩვენს, საბჭოთა პირობებში, მდგომარეობს ერთის მხრით ყოფილი გაბატონებული ერის პროლეტარიატსა და მეორე მხრით წინეთ დაჩაგრულ ერების გლეხობას შორის სწორი ურთიერთობის დამყარებაში. თუ რუსეთის პროლეტარიატი შესძლებს ნამდვილი კავშირის გაბმას არა მარტო რუსეთის გლეხობასთან, არამედ წინეთ დაჩაგრული ერების გლეხობასთანაც, ამოცანა გადაჭრილი იქნება.

პროლეტარიატის ხელისუფლება მშობლიური უნდა შეიქნეს თითეული გლეხობისათვის.

ამისათვის, განაგრძობს ამხ. სტალინი, საჭიროა, რომ პროლეტარიატის ხელისუფლება შეიქნეს მშობლიური არა მარტო რუსეთის გლეხობისათვის, არამედ თითეული ნაციონალური გლეხობისათვის. იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მშობლიური შეიქნეს თითეული გლეხობისათვის, საჭიროა, რომ ის გასაგები იყოს მისთვის, საჭიროა რომ დაწესებულებები მუშაობდენ მშობლიურ ენაზე, ხელისუფლების ორგანოებში ადგილობრივი ხალხი უნდა შედიოდეს, მათ უნდა იცოდენ ენა და ზნე-ჩვეულებები.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი—ნაციონალური საკითხის გადაჭრა.

ნაციონალური საკითხის გადაჭრა ამ [illegible] საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შედგენაში მდგომარეობს. ამ კავშირის საფუძვლად უნდა დაედვას ნებაყოფლობითი პრინციპი და აგრეთვე მისი წევრების თანასწორობა.

კავშირის საფუძვლები.

ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ერების არავითარი კავშირი, ერების არავითარი საზოგადოება და მათი გაერთიანება ერთიან სახელმწიფოში, არავითარ შემთხვევაში არ იქნება მიზანშეწონილი და სასურველი, თუ მას საფუძვლად არ დაედვა ნებაყოფლობითი პრინციპი.

მეორე საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა რესპუბლიკები, რომლებიც კავშირში შედიან უარს ამბობენ თავისი დამოუკიდებლობის ზოგიერთ უფლებებზე კავშირის სასარგებლოდ. საჭიროა მოვიქცეთ ისე, რომ ეს ერები სარგებლობდენ არა მარტო უფლებრივი თანასწორობით, არამედ ფაქტიურადაც. უფლებრივი თანასწორობა ჩვენ წამოვაყენეთ და ცხოვრებაშიც ვატარებთ. საჭიროა, რომ თითეულ რესპუბლიკაში განვითარდეს მოწყობილობა ისეთია ის გზები, რომლითაც უნდა დამყარდეს სწორი ურთიერთობა ერთის მხრით წინათ გაბატონებული რუსეთის პროლეტარიატსა და მეორე მხრით სხვა ერების მშრომელთა შორის.

დაბრკოლებები ერთობის გზაზე და მათი აცილება.

აკეთებს რა დასკვნებს თავისი მოხსენებიდან, ამხ. სტალინი მიუთითებს სამ ფაქტორზე, რომელნიც ხელს უშლიან ერთობას და რომელნიც თავიდან უნდა იქნენ აშორებული. პირველი ფაქტორია—რუსული შოვინიზმი, მეორე—ფაქტიური უთანასწორობა და მესამე—ადგილობრივი ნაციონალიზმი.

შემდეგ ამხ. სტალინი ლაპარაკობს სამ საშუალებაზე, რომლის წყალობითაც შესაძლებელია წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ნაშთების მოსპობა.

პირველი საშუალება.

პირველი საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ მივიღოთ ზომები, რათა საბჭოთა ხელისუფლება რესპუბლიკებში ყველასთვის მშობლიური შეიქნეს, რათა საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში იყოს არა მარტო რუსული, არამედ ნაციონალურიც.

მეორე საშუალება.

მეორე საშუალება გამოიხატება რესპუბლიკების კავშირის კომისარიატების ისეთ კონსტრუქციაში, რომ ყველა ერებს საშუალება მიეცეს თავისი წარმომადგენლები იყოლიონ კოლეგიებში და შეიქნეს ისეთი პირობები, როცა რესპუბლიკების სასიცოცხლო მოთხოვნილებები უსათუოდ დაკმაყოფილებული იქნება.

მესამე საშუალება.

მესამე საშუალება—საჭიროა რათა ნაციონალურ უმაღლესი საკავშირო ორგანოს შემადგენლობა იყოს ისეთი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ყველა, გამოუკლებლივ, რესპუბლიკების საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. ჩვენ გადავწყვეტავდით ამ საკითხს, თუ მოვახერხებთ საკავშირო ცენტრალ-აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობაში პალატების დაარსებას, რომელთაგანაც პირველს აირჩევდა საბჭოთა საკავშირო ყრილობა ეროვნებათა მიუხედავათ, ხოლო მეორეს აირჩევდა რესპუბლიკები და დაამტკიცებდა საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობა. მეორე პალატაში უნდა იქნან წარმოდგენილი ყველა ხალხები და ერები.

მხოლოდ ასეთ საფუძვლებზე და ამ გზით ჩვენ მივაღწევთ ეროვნულ საკითხის სრულ გადაწყვეტას, ფართოთ განვმარტავთ პროლეტარულ რევოლუციის მნიშვნელობას და მოვიპოვებთ აღმოსავლეთის თანაგრძნობას, სადაც იმყოფება ჩვენი რევოლუციის რეზერვები და რომელსაც შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი პროლეტარიატის მომავალ შეტაკებაში იმპერიალიზმთან.

ამხ. სტალინის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობას იღებდენ მდივანი და სხვები. კამათის გაგრძელება გადადებულ იქნა შემდეგი სხდომისათვის. ამით თავდება ყრილობის დღის სხდომა.

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გამო

(24 აპრილის დილის სხდომა).

ამხ. გალიევის სიტყვა.

პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს ეროვნულ საკითხს.

მოსკოვი. 24 აპრილი. 24 აპრილის დილის სხდომა მოანდომეს კამათს ამხ. სტალინის მოხსენების გამო ეროვნულ საკითხის შესახებ.

პირველად სიტყვა ეძლევა ამხ. გალიევს, რომელიც ამბობს:

„ჩვენი პროლეტარული რევოლუციის მთელ რიგ წლების განმავლობაში ჩვენ გვყავს აღმოსავლეთის მუშაკთა მცირე წრე, რომელთაც არ შეეძლოთ ხელი მოეკიდათ ამ ვიწრო საკითხისათვის, აწარმოებდენ რა მუშაობას საერთო პარტიული მასშტაბით. ასეთ მდგომარეობაში წვრილბურჟუაზიული შოვინისტები, რომელნიც გამოვიდენ ეროვნულ უმცირესობის წრიდან მონოპოლიას აცხადებენ ეროვნულ საკითხზე და ამახინჯებენ მას შეგნებულად და შეუგნებლად. თუ ჩვენი პარტია მთლიანად კატეგორიულად არ განაცხადებს, რომ კულტურულ-ეკონომიურ და ფაქტიურ უთანასწორობის მოსპობის საქმე—არის მთელი პარტიის და აგრეთვე თვითეული წევრის საქმე, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ნაციონალურ საკითხის ხელმძღვანელობა.

ამხ. სკრიპკინის სიტყვა.

მუშაობა უნდა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე.

შემდეგი ორატორი ამხ. სკრიპკინი აღნიშნავს, რომ უკრაინის მცხოვრებთა რიცხვი რუსეთის ტერიტორიაზე, გარდა თვით უკრაინისა, აღწევს 7 მილიონს და ხაზს უსვამს, რომ საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნას მთელი უკრაინელ მცხოვრებთა კულტურულ განმანათლებელი საჭიროებანი და მუშაობაც ამ მიმართულებით უნდა იქნეს წარმოებული. ჩვენი პრაქტიკა, ამბობს ამხ. სკრიპკინი, სცილდება ჩვენ თეორიას. მუშაობა უკრაინელებს შორის უნდა სწარმოებდეს უკრაინულ ენაზე. მაგრამ ჩვენ არ გვყავს ამისათვის მუშაკთა საკმაო კადრი ჩვენთვის საჭიროა მოვამზადოთ ისეთი მუშაკები, რომელთაც შეეძლებათ სწავლება უკრაინულ ენაზე ჩვენი ყრილობის რეზოლუცია სწყვეტს ეროვნულ საკითხს თეორეტიულად. მაგრამ მნიშვნელოვანია არა რეზოლუციების მიღება, არამედ მათი ცხოვრებაში გატარება.

ამხ. ელიავას სიტყვა.

როგორ სდგას ეროვნული საკითხი საქართველოში.

ამხ. სკრიპკინის შემდეგ გამოდის ამხ. ელიავა რომელიც ამბობს: „ქართული ენა გაბატონებულია საქართველოში ყველგან. საქართველო არის ტიპიური ქვეყანა, რომელიც ამიერ-კავ. არის ყველაზე უფრო კულტურული ქვეყანა და რომელსაც აქვს რევოლიუციონური ბრძოლის ყველაზე დიდი ტრადიციები, და აგრეთვე ფართო მუშათა მოძრაობის 25 წლის ისტორია. მართალია მას აქვს მენშევიკური მოძრაობის ისტორიაც და „წმინდა დემოკრატიის" სამი წლის გამოცდილება, დემოკრატიის, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდენ. საქართველო სრულიადაც არ არის ისეთი ქვეყანა როგორც აზერბეიჯანის სოფელი ან თურქესტანი. საქართველოში არიან სხვა და სხვა ერები, რომელნიც კულტურულ განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე დგანან. ამიტომ ეროვნული საკითხი საქართველოში არის არა მარტო ქართული, არამედ საერთო—საკავშირო, საერთო-ფედერატიული სასაკითხი.

საჭიროა რუსეთის პროლეტარიატის დაკავშირება ეროვნულ გლეხობასთან.

შემდეგ გამოდის ამხ. რაკოვსკი, რომელიც ამბობს: ეროვნული კითხვა იმ კითხვათაგანია, რომელსაც შეუძლია დიდი გართულება გამოიწვიოს. ეროვნული საკითხი—არის საკითხი რევოლიუციონურ პროლეტარიატის სხვა ეროვნებების 60 მილიონიან გლეხობასთან დაკავშირებისა—გლეხობასთან, რომელიც ეროვნულ დროშის ქვეშ წინ აყენებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მოთხოვნილებას. პარტიის წინაშე დგება საკითხი: რა კავშირს გამონახავს ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალიზმი ამ პროგრესიულ რევოლიუციონურ გლეხობასთან. ეს საკითხი უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ აქ—ყრილობაზე.

ამხ. ცინცაძის სიტყვა.

შემდეგ გამოდის ამხ. ცინცაძე, რომელიც ამბობს: ეროვნულ საკითხის გაგებაში ჩვენ არავითარი უთანხმოება არა გვაქვს. ჩვენ აბსოლიუტურად სოლიდარული ვართ ძირითად გზასთან. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა აღმოსავლეთის ხალხისათვის თუ როგორ სწყვეტენ კომუნისტები ეროვნულ საკითხს, რათა არ დაგვეფრთხო ისინი და ჩვენ დავამტკიცებთ კიდეც, რომ ნამდვილი დამცველი მშრომელთა ინტერესებისა არის მხოლოდ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ეროვნული პოლიტიკა პერიფერიებში.

თავის სიტყვის გაგრძელებაში ამხ. ცინცაძე ამტკიცებს, რომ პარტიის ეროვნული პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში სწორია. აღნიშნავს რა, რომ კაპიტალისტურ პირობებში ერთი ერი ცდილობს გამოწუროს მეორე ერიდან ყველა ღირებულებები ყოველივე კომპენსაციის გარეშე, ორატორი ამბობს: არავითარი რამ ამის მსგავსი საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში არ ხდება. საქართველოდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებას არაფერი არ გაუზიდავს. პირიქით, საქართველომ მიიღო დიდი დახმარება რუსეთისაგან საბჭოთა ხელისუფლების დროს და ის ძველიც კი დაიბრუნა, რომელიც მას მეფის მთავრობამ წაართვა. გარდა ამისა საქართველომ მიიღო დახმარება პურისა და სხვა ყოველგვარ საქონლის სახით. სად არის აქ კოლონიზატორული პოლიტიკა?—კითხულობს ორატორი თავის სიტყვის დასასრულს.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა.

რა ხდება ტფილისში.

ამხ. ცინცაძის შემდეგ გამოდის ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც ამტკიცებს, რომ არავითარი ჩაგვრა ქართველ მოსახლეობის საქართველოში და, კერძოთ, თბილისში არ ხდება. ტფილისში ქართველი მოსახლეობა მხოლოდ 25 პროც. წარმოადგენს. თბილისის სამაზრო საბჭოში კი ქართველები 43 პროც. შეადგენენ, სომხები—17 პროც., რუსები—27 პროც., ებრაელნი—2 პრ. და მაჰმადიანები—3 პროც. ქალაქის აღმასკომში 36 წევრთა შორის 27 ქართველია, 4 სომეხი, 3 რუსი, 1 ებრაელი და 1 მაჰმადიანი. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმში 1 რუსია და 10 ქართველი. მე ვკითხულობ, ამბობს ამხ. ორჯონიკიძე, სად არის აქ ქართველ ეროვნების ჩაგვრა. თბილისის აღმასკომში მიუხედავათ იმისა, რომ ქართველები შეადგენენ ტფილისის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს, მთელი საქმის წარმოებაც [illegible] საქმე ქართულ ენაზე სწარმოებს. ტფილისის დაწესებულებების მოსამსახურეთა უმრავლესობა ქართველები არიან.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

არსებობს თუ არა ეროვნული საკითხი.

ამხ. ორჯონიკიძის შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ზინოვიევი, რომელიც ამბობს: არსებობს თუ არა ჩვენში ეროვნული საკითხი? ჩვენთვის, რასაკვირველია ეროვნული საკითხი არ არსებობს, ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ჩვენ ხომ რუსეთზე ვლაპარაკობთ—მრავალ მილიონიან მოსახლეობაზე. და აქ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ არა გვაქვს ეროვნული საკითხი.

ჩვენ უარვყოფთ ბურჟუაზიულ სამშობლოს დაცვას, მაგრამ სრულიადაც არ ვამბობთ უარს სოციალისტურ სამშობლოს დაცვაზე.

(რადიოს ბოლო მიღებული არ არის).

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

მოწოდება საერთო გაფიცვისაკენ.

ბერლინი. 23 აპრილი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საოლქო კომიტეტი იწვევს 25 აპრილს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობას, ფრანგების მიერ ნახშირის ულუფების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ზომების მისაღებად. კომიტეტი აცხადებს, რომ ფრანგების ასეთ მოქმედებაზე უნდა ვუპასუხოთ მასიურ დემონსტრაციებით ან საერთო გაფიცვით.

რკინის გზის ხიდის აფეთქება.

ბერლინი. 22 აპრილი. ესსენის მახლობლად უცნობ პირების მიერ აფეთქებულია რკინის გზის ხიდი.

ბელგიის ჯარები იქნებიან გაძლიერებულნი.

ბერლინი. 23 აპრილი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბელგიის ჯარები რურის ოლქში იქნებიან გაძლიერებულნი რკინის გზებზე კონტროლის აუცილებლობის გამო.

პუანკარე ირწმუნება თავის დიდსულოვნებაში.

პარიზი. 22 აპრილი. დაღუპულ მეომრების საფლავზე ძეგლის გახსნაზე პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ გერმანელ მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება საფრანგეთის მილიტარიზმის შესახებ უმაგალითო სისაძაგლეს წარმოადგენს. პუანკარე ცდილობდა დაემტკიცებია, რომ რურის ოკუპაცია სრულიად არ ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას და გამოწვეულია მხოლოდ გერმანიის მთავრობის განკარგულებით საფრანგეთის ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ.

პუანკარემ აღნიშნა, რომ გერმანიის ხელის უფლების განცხადება, თითქოს მას ჯერ კიდევ იანვარში ქონდა განზრახული 60 მილიარდი მარკის შეტანა სავსებით მოგონილია. პუანკარემ სთქვა: „ჩვენ არ მივსდევთ ბისმარკის დროის გერმანიის მაგალითს და ჯერ კიდევ 1918 წლიდან ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს მოთმინება და სულგრძელობა, მაგრამ ლაპარაკიც ზედმეტია გერმანიასთან რაიმე შეთანხმების შესახებ მაშინ, როდესაც გერმანია სისტემათ აქცევს ხელშეკრულების უარყოფას და მის მიერ ხელმოწერილ ვალდებულებათა შეუსრულებლობას. შეთანხმების მიღწევის უმთავრესი პირობებია რეპარაციები და საზღვრების უზრუნველყოფა. **ჩვენ არ შეგვიძლია ნება დავრთოთ ვინმეს ჩვენი ხელიდან გამარჯვების ნაყოფის წართმევაზე** ევროპის აღორძინება და ზავის დაცვა შეუძლებელია საფრანგეთის აღდგინებისა და მისი დამოუკიდებლობის გარანტიის გარეშე".

შედეგებით დაზარალებულია მთელი ევროპა.

ბერლინი. 24 აპრილი. ბერლინის გაზეთი იხილავს რურის ოკუპაციის უნაყოფობას და სხვათა შორის სწერს: „რურის ოკუპაციის ეკონომიური უნაყოფობა შეუძლებელია აიწეროს. ამ უნაყოფობას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მთელი ევროპა დაზარალდა".

საფრანგეთის ჯარისკაცების სოლიდარობა გერმანიის მუშებთან.

ბერლინი. 24 აპრილი. „იუმანიტეს" ცნობით აურაცხელი წერილები, რომელიც მოდის რურში მყოფ საფრანგეთის ჯარისკაცებიდან, მოწმობენ იმას, რომ საფრანგეთის რურის საოკუპაციო ჯარებში დაწყებულია ძლიერი დუღილი. ყაზარმებში დანაწილებულნი პატიმრები დიდ თანაგრძნობას იწვევენ ფრან. ჯარის კაცებში, რომელნიც იზიარებენ კომუნისტების შეხედულობას, რომ საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატის ინტერესები ერთი და იგივეა.

ეშინიათ 1 მაისის გამოსვლების.

ბერლინი. 24 აპრილი. საფრანგეთის უმაღლესი სარდლობა შიშობს, რომ ფრანგი ჯარის კაცები მიიღებენ მონაწილეობას 1 მაისის დემონსტრაციებში.

ნახშირის გადაზიდვას ვერ ახერხებენ.

ბერლინი. 24 აპრილი. მთელი ოკუპაციის დროის განმავლობაში ფრანგებმა შესძლეს ამოღება მხოლოდ ნახევარ მილიონამდე ტონი ნახშირის და კოკსი ყოველ დღე ახერხებენ, 4000-დან 7000-დე ტონის გაზიდვას, მაშინ, როდესაც ოკუპაციამდე გერმანია აწოდებდა საფრანგეთს 60 ათასამდე ტონს ნახშირს. ამ ცნობებს ადასტურებს „დეილი მეილის" კორესპონდენტი, რომელიც ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ რურის ოკუპაცია დღემდე დაჯდა 3 მილიონი ოქრ. მარკა, მასთან ნახშირის ამოღება 10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე შეიძლებოდა და რომ ოკუპაციისათვის არ მიემართნათ.

ოკუპაციის გარშემო

გერმანიის მთავრობის გაბედული ნაბიჯები.

ბერლინი 25 აპრილი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ელჩმა ლონდონში—შტამერმა ინახულა გუშინ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი. „ფორვერტს" შენიშნავს, რომ ამ მოკლე ცნობაში იმალება გერმანიის მთავრობის მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯები.

საარის საკითხი ერთა ლიგაში.

ბერლინი. 25 აპრილი. ჟენევაში, ერთა ლიგის საბჭოში განხილული იყო საკითხი საარის ოლქის შინაურ მდგომარეობის შესახებ. საფრანგეთის დელეგატის გავლენის ქვეშ, რომელიც ერთა ლიგის კომისართა ამ ოლქში, წამოყენებული იყო წინადადება საგანგებო ზომების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. ფრანგების წინააღმდეგობის მიუხედავათ, გახსნილი იყო მსჯელობა საარის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ყველა დანარჩენ საკითხებში საარის ოლქის შინაურ მდგომარეობის შესახებ ერთა ლიგის საბჭომ საფრანგეთის დელეგატების წინადადებები და რეზოლიუციები მიიღო.

ინგლისს არ სურს უარი სთქვას კონტრიბუციაზე.

ბერლინი. 25 აპრილი. ეხება რა კერზონის სიტყვას „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, რომ ინგლისს არ შეუძლია უარი სთქვას კონტრიბუციიდან თავის წილის მიღებაზე, რომელიც აღწევს 11 მილიარდ მარკას ოქროთი, ვინაიდან ეს ვერ დააჩქარებს საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტას.

„მორალური ჩარევა".

ბერლინი. 25 აპრილი. „ობსერვერი" კერზონის სიტყვას რურის კონფლიქტში „მორალურ ჩარევას" უწოდებს.

ლოზანის კონფერენცია

უჩიჩერინოთ ცუდათ გრძნობენ თავს

პარიზი. 23 აპრილი. გაზეთ „მატენის" თანამშრომელის ზაუერვეინის აზრით თუ ლოზანის კონფერენციას არ დაესწრო ამხ. ჩიჩერინი, კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდება. ზაუერვეინი ფიქრობს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ბევრათ იქნება დამოკიდებული ოსმალეთთან მოლაპარაკების შედეგებზე.

ოსმალეთის პოლიტიკის ამოცანები

მოსკოვი. 24 აპრილი. ლოზანაში გამგზავრების წინ ისმეტ-ფაშამ ოსმალეთის პოლიტიკის ამოცანების შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ოსმალეთმა იმას დროს თავისი უფლებების დასაცავად დახურა სრუტეები, ახლა ის თანახმაა სრუტეების გახსნაზე არა იმიტომ, რომ არ შეუძლია მათი დაცვა, არამედ იმიტომ, რომ ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს ინტერესებით".

დაბრკოლებები კვლავ მოსალოდნელია.

ანგორა. 20 აპრილი. გაზეთი „კაკუფი" ათავსებს საუბარს ინგლისის წარმომადგენელ რუმბოლდთან. რუმბოლდის აზრით, ლოზანის კონფერენციაზე მოსალოდნელია დიდი დაბრკოლებები. რუმბოლდის აზრით სტამბოლის ევაკუაციისათვის დრო კიდევ არ დამდგარა.

დელეგაციების ჩამოსვლა.

ლონდონი. 23 აპრილი. 23 აპრილს ლოზანაში განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის. დელეგატების უმრავლესობა უკვე ჩამოვიდა შვეიცარიაში. ინგლისის დელეგაციას ხელმძღვანელობს რუმბოლდი, საფრანგეთისას—გენერალი პელლე, იტალიისას—მონტანია. ამერიკის წარმომადგენელია—გრიუ. ოსმალეთის დელეგაციას მეთაურობს ისმეტ-ფაშა და რიზა-ნური-ბეი.

კონფერენცია გაიხსნა.

პარიზი. 23 აპრილი. იუწყებიან, რომ ლოზანის კონფერენცია უკვე გაიხსნა. გენერალი პელლე ესაუბრა ინგლისის, იტალიის და ოსმალეთის წარმომადგენლებს.

კონფერენციის მომავალი.

პარიზი. 23 აპრილი. საფრანგეთის პრესა პესიმისტურად უყურებს ლოზანის ახალ კონფერენციას. როგორც აღნიშნავს „ლ'უმანიტე", პროლეტარიატი ჯერ კიდევ მოქიშპე მრეწველობის ბრჭყალებში იმყოფება. პრესა პარადოქსალურათ თვლის საფრანგეთის როლს ლოზანის პირველ კონფერენციაზე, როცა ის თითქო არიგებდა ოსმალეთს და ინგლისს, ახლა კი მტრულად არის განწყობილი ანგორის მიმართ. ბურჟუაზიული პრესის აზრით კონფერენციის წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა მოკავშირეების შეთანხმება და საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის ლიკვიდაცია.

საფრანგეთის წრეებში მშვენივრათ ხედავენ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ კონფერენციაზე არ არის ჩიჩერინი, საბჭოთა რუსეთი მაინც დიდ როლს ითამაშებს. რუსეთის [illegible] აჩრდილი, სწერენ გაზეთები აწვება მაგიდებს, რომლის გარშემო სწარმოებს მოლაპარაკება.

ინგლისელები მოქმედებენ.

თეირანი 22 აპრილი. ინგლისელები მესოპოტამიაში ძალით აგროვებენ ხელის მოწერას მიწოდებებზე მოსულის ოსმალებისაგან დაცვის შესახებ.

მეორე სხდომა.

პარიზი. 24 აპრილი. ოსმალეთის დელეგაციის დასწრებით პირველი სხდომის შემდეგ შესდგა მეორე სხდომა. იხილავდნენ კონფერენციის მუშაობის გეგმას. ინგლისის დელეგატმა რუმბოლდმა აღნიშნა, რომ სასურველია კონფერენცია არ იქნეს ხანგრძლივი საფრანგეთის დელეგატმა გენერალ პელლემ გამოსთქვა სურვილი კონფერენციის, რაც შეიძლება, დაჩქარებით და სრული შეთანხმებით დამთავრების შესახებ. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ თუ მოლაპარაკებას ექნება კეთილი სურვილების ხასიათი, ის სრულიად დარწმუნებულია მაშინ, რომ კონფერენცია დამთავრდება ზავით.

საფრანგეთის დელეგაციის განზრახვანი.

პარიზი. 24 აპრილი. „ტანის" ცნობით საფრანგეთის დელეგაცია სთვლის, რომ ოსმალეთის კონტრ-პროექტის საკითხები ხელახლად უნდა იქნეს განხილული და ის უნდა გადაეცეს წინასწარ განხილვისათვის ექსპერტთა სპეციალურ კომისიას.

არ სურთ სრუტეების განთავისუფლება.

პარიზი. 24 აპრილს. ეხება რა ლოზანის კონფერენციას, „ტანი" უჩვევს ოსმალებს თავისი მოთხოვნილებებში იყვნენ ზომიერნი. ამასთან ერთად გაზეთი აცხადებს, რომ თუმცა საფრანგეთს არ აქვს სურვილი განაგრძოს სრუტეების დაკავება, მაგრამ მაინც იძულებულია სრუტეებიდან არ გამოვიდეს მანამ, სანამდის მომავალში ზავი არ შევა ძალაში, ამასთან უკანასკნელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახლობლათ არ სწარმოებს არავითარი კონცენტრა-

ცია ჯარების, რაც საწინააღმდეგო იქნება საზავო ხელშეკრულობის.

ამერიკელ დელეგაციის განცხადება.

პარიზი. 24 აპრილი. გუშინ ლოზანის კონფერენციის გახსნისას სხდომაზე გამოვიდა ამერიკელი ელჩი ბერნში—გრიუ, რომელმაც სთქვა: „ამერიკას არ შეუცვლია თავისი პოზიცია, ის არ მოაწერს ხელს მოკავშირეთა და ოსმალეთის ხელშეკრულებას, მაგრამ ამერიკის დელეგაციას აქვს სრული რწმუნება ამერიკის ინტერესების დასაცველათ".

წინანდელი პოზიცია.

ბერლინი. 25 აპრ. შვეიცარიის პრესის ცნობით, საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ **ოსმალეთის დელეგაცია ლოზანას კონფერენციაზე დაახლოვებით იმავე პოზიციას დაიკავებს, როგორიც მას ეჭირა თებერვალში, ლოზ.-ნადან გამგზავრების წინ.**

კომისიების შექმნა.

პარიზი. 25 აპრ. ლოზანის კონფერენციაზე შექმნილია 3 კომისია პირველი—პოლიტიკურ საკითხებისა და ოსმალეთის უფლებრივ რეჟიმის საკითხის მოწესრიგებელი კომისია, ამ კომისიას თავმჯდომარეობს ინგლისის დელეგატი რუმბოლდი, მეორე კომისიაში თავმჯდომარეობს გენერალი პელი (საფრანგეთის დელეგატი). ეს კომისია იმუშავებს ფინანსიურ და სანიტარულ საკითხებში. მესამე კომისიაში თავმჯდომარეობს იტალიელი დელეგატი მონტანია. ეს კომისია განაგებს ეკონომიურ საკითხების იმ ნაწილს, რომელიც ეხება ოსმალეთის სავაჭრო რეჟიმს.

ინანიებენ.

პარიზი, 25 აპრილი. ლოზანის კონფერენციის გახსნის დღეს საფრანგეთის პრესა აღნიშნავს ახლო-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების საჭიროებას. კერძოთ, „პტი პარიზიენი" აღნიშნავს, რომ წინეთ ახლო-აღმოსავლეთის საკითხში დაშვებული იყო შეცდომები. ამ გარემოების გამო გაზეთი შენიშნავს, რომ თუმცა საბერძნეთის აღდგენისათვის დახმარებაში სწორი აზრი იყო, მაგრამ საბერძნეთის გადაჭარბებულ პრეტენზიების გამხნევება—საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შეცდომა იყო.

პირველ კომისიაში.

პარიზი, 25 აპრილი, პირველ კომისიაში განხილული იყო რამოდენიმე სადავო საკითხი, დადგენილია ფრაკიისა და სირიის საზღვრების საკითხის გადადება. მესოპოტამიის საზღვრების შესახებ დადგენილია დატოვებულ იქნეს „სტატუსკვო" სანამ ინგლისი და ოსმალეთი არ შეთანხმდებიან. კუნძული მარკე, ტენიდოსის ახლო, ოსმალეთს გადაეცა.

ფრაკიის საზღვრები

ლონდონი 25 აპრილი. საკითხი ფრაკიის საზღვრების შესახებ გადადებულია შემდეგი განხილვისათვის, რადგან ოსმალოებმა და ვენიზელოსმა იგივე მოთხოვნილებები წამოაყენეს, რომლებიც მათ წინანდელ კონფერენციაზე ქონდათ წამოყენებული.

საკითხი სტამბოლის ევაკუაციის შესახებ

ლონდონი 25 აპრილი. ლოზანიდან მიღებულ ცნობით, **ოსმალოებმა წამოაყენეს საკითხი სტამბოლის ევაკუაციის შესახებ. ინგლისის დელეგატმა რუმბოლდმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების დადებამდე და მოკავშირეთა პარლამენტების მიერ მისი რატიფიკაციამდე ევაკუაცია შეუძლებელია.**

ირაკის და მოსულის საზღვრების საკითხის შესახებ.

ლონდონი 25 აპრილი. „ექსჩენჯ-ნიუ ეჯენსი"-ს ცნობით რუმბოლდმა მიიღო ოსმალებისაგან თანახმობა იმაზე, რომ უკეთუ ხელშეკრულების დადების შემდეგ 12 თვის განმავლობაში ოსმალეთისა და ინგლისის შორის შეთანხმება ირაკის საზღვრების გამორკვევის შესახებ მიღწეული არ იქნება, ეს საკითხი მოსულის საკითხთან ერთად გადაცემული იქნება ერთა ლიგის გადასაწყვეტათ

ომის ლიგა

თანახმად მათი განცხადებისა.

ბერლინი. 25 აპრილი. ამერიკის სენატორმა ბორამ განუცხადა ლორდ სესილს, რომ ერთა ლიგას პოზიციის გამო გერმანიის და საბჭოთა რუსეთის მიმართ, ამერიკაში გაძლიერდა ოპოზიცია ლიგის წინააღმდეგ. ამერიკის ხალხს ეჭვი არ შეხდის იმაში, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს არა მშვიდობიანობის, არამედ ომის ლიგას.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი. 25 აპრილი. კათოლიკური სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომის შემდეგ, გადამდგარმა მინისტრებმა გადასცეს მუსოლინის ფრაქციის რეზოლიუცია. მუსოლინიმ უპასუხა, რომ ფრაქციის დადგენილებას არ შეუძლია შესცვალოს ტურინის კონგრესის გადაწყვეტილება, რომელიც ატარებს ანტი—ფაშისტურ ხასიათს. უკანასკნელი აიძულებს მას მიიღოს გადადგომა და არ გაუწიოს ანგარიში ფრაქციის გადაწყვეტილებას.

ბრძნული გადაწყვეტილება.

რომი. 25 აპრილი. რომის პრესა ფიქრობს, რომ გაუქმებული იქნება ის სამინისტროები, რომელთაც სათავეში უდგენ კათოლიკური სახალხო პარტიის გადამდგარი წევრები.

ინგლისის პოზიციის გარშემო

„ეკო დე პარი" გათიშვით იმუქრება.

პარიზი. 21 აპრილი. კერზონის სიტყვის გამო ლორდთა პალატაში „ეკო-დე-პარი" სწერს: **„საფრანგეთი თავის უფლებათ მიიჩნევს ინგლისთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას, უკეთუ ის დაჟინებით დაადგება უაზრო მეთოდების გამოყენების გზას".**

ინგლისის პრესა კერზონის სიტყვის შესახებ.

ლონდონი. 21 აპრილი. უკეთებს რა კომენტარიებს კერზონის სიტყვას, ინგლისის პრესა ხაზს უსვამს იმ ადგილს, რომელშიაც კერზონმა განაცხადა, რომ ინგლისი სრულიად არ აცხადებს უარს რეპარაციებში მონაწილეობის თავის საკუთარ უფლებებზე.

საფრანგეთის პრესა კერზონის სიტყვის შესახებ.

ბერლინი 23 აპრილი. საფრანგეთის გაზეთები საერთოთ უკმაყოფილო არიან კერზონის სიტყვით, განსაკუთრებით, იმიტომ, რომ მასში აღნიშნულია საჭიროება გერმანიის კრედიტობის უნარის გამორკვევის საგანგებოთ დანიშნულ საერთაშორისო კომისიის საშვალებით.

ახლო აღმოსავლეთი

ქემალ ფაშას მიმართვა

პარიზი. 24 აპრილი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ რამაზანის დღესასწაულის გამო ქემალ-ფაშამ მოწოდებით მიმართა ჯარს. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „თუ ლოზანის კონფერენციამ გააცრუა ჩვენი იმედები, არმია მზად არის შეასრულოს თავისი ვალი."

ისმეტ ფაშას განცხადება

ანგორა. 24 აპრილი. ლოზანას კონფერენციაზე გამგზავრების წინ ისმეტ-ფაშამ განაცხადა: „თუ ძლიერ ცდილობენ საქონლის გასაღებას, მყიდველი უფრო ჯიუტობს. ჩვენ ასეთივე მდგომარეობაში ჩავვარდებით თუ გადამეტებული ლტოლვა გამოვიჩინეთ ზავისაკენ მაგრამ ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ლოზანიდან ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ ან ომი ან ზავი".

„ენი გიუნის" აზრი

ანგორა. 24 აპრილი. გაზეთი „ენი გიუნი" მეთაურ წერილში ადარებს ოსმალეთის და შვეიცარიის კონსტიტუციას და საჭიროთ სთვლის სამღვდელოებისათვის საარჩევნო უფლებების წართმევას.

ჩესტერის კონცესიების გარშემო

უშედეგოდ დარჩება

ანგორა. 24 აპრილი. გაზეთი „ხაკიმიეთი მილიე" ეხება რა საფრანგეთის პროტესტს ჩესტერის კონცესიების წინააღმდეგ, მოყავს ცნობები, რომ საფრანგეთის მთავრობა ომით და გინუის ჩაშლით იმუქრება. გაზეთი სწერს: „საფრანგეთის მთავრობის მიერ ჩვენზე ბერძნების ისევ წასისინებას არავითარი შედეგი არ მოყვება. ლოზანაში ჩვენ გვსურს მივიღოთ ზავი, თუ ჩვენ არ დაგვაკმაყოფილეს —იქნება ომი".

ჩესტერი და ლოზანა.

ლონდონი. 23 აპრილი. ლოზანას კონფერენციის მთავარი ყურადღება მიმყრობილია საფრანგეთის მხრით ოსმალეთის მიმართ მოსალოდნელ ოპოზიციისაკენ. გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" ფიქრობს, რომ ოსმალეთი მშვიდობიანი გზით მოაგვარებს კონფლიქტს ჩესტერის კონცესიების გარშემო.

საფრანგეთის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ბერლინი. 23 აპრილი გაზ. „მორნინგ პოსტის" ცნობით ოსმალეთი მზათ არის მოაგვაროს კონფლიქტი საფრანგეთთან ჩესტერის კონცესიების გამო, საფრანგეთისათვის სხვა კონცესიების მიცემის გზით.

საფრანგეთი მზად არის რეპრესიებისათვის.

ანგორა. 20 აპრილი. გაზეთ „ენიგიუნს"—მოყავს „დეილი-ტელეგრაფის" ცნობა, რომ საფრანგეთი ოსმალეთის მთავრობის მიერ ჩესტერისათვის კონცესიების გამო აპირებს რეპრესიების სახით კილიკიის დაჭერას. „ენი გიუნი" აცხადებს: თუ საფრანგეთი აპირებს ამას, ჩვენ მზად ვართ დავღვაროთ ფრანგების სისხლი.

ისმეტ ფაშას განცხადება.

პარიზი. 22 აპრილი. ინტერვიუს დროს, ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ჩესტერთან დადებული ხელშეკრულება არავითარ ზიანს არ აყენებს საფრანგეთის ინტერესებს, რადგან კონცესიების დიდი ნაწილი უცხოელ კაპიტალისტების ხელშია

„ტან"-ი ჩესტერის კონცესიების შესახებ.

პარიზი. 25 აპრილი. ეხება რა ჩესტერის კონცესიებს „ტანი" ამბობს, რომ ის არღვევს საფრანგეთის ინტერესებს, რადგან კონცესია სამსუნსივაშის ხაზს აღწევს. გაზეთის აზრით, თუ ჩესტერის კონცესია სავსებით განხორციელდება, ის შელახავს არა მარტო საფრანგეთის არამედ ინგლისის ინტერესებსაც.

ამერიკის კაპიტალი ახლო აღმოსავლეთში

ჩესტერის განცხადება.

ნიუიორკი. 21 აპრილი. ჩესტერი გამოვიდა ნიუიორკში ბანკეტზე სიტყვით, რომელშიაც ის იცავდა თავის კონცესიებს. თავის სიტყვაში ჩესტერმა განაცხადა: **ამ ჟამათ შეერთებულმა შტატებმა შესძლეს გვერდი აევლო ევროპის გავლენის სფეროსთვის, რომელიც ელობებოდა წინ ამერიკას კაპიტალს ახლო აღმოსავლეთში.** ჩესტერი ამტკიცებდა კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმების აუცილებლობას ოსმალეთში.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ბრძოლა კანტონთან.

პეკინი. 24 აპრილი. - ბრძოლა კანტონთან, როგორც სჩანს, გრძელდება. ოფიციალურ ცნობების უქონლობა ამტკიცებს, რომ დღემდის უ-პეი-ფუმ ვერ მოახერხა სიუნიალსენის მოგერიება. შანხაიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სუნიად-სენსა და ჩიკი-იანის, ჩემუ-ანის და იუ—ბანის პროვინციების წარმომადგენლებთან დაიდო საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუშლის უ-პეი-ფუს გეგმის განხორციელებაში. ჩეხვანის პროვინციაში უ-პეი-ფუმ გაგზავნა გაფრთხილება, რომელშიაც წინადადებას აძლევს გაიყვანოს იქიდან ჯარები. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პროვინციის 70 მილ. მცხოვრებნი თითონ გარეკავენ მათ. საქმესთან გაცნობილ წრეებში ფიქრობენ, რომ თუ უ-პეი-ფუ ამ ჟამად მიაღწევს გამარჯვებას მაშინ გესთან ის მაინც დამარცხდება.

უ-პეი-ფუს დამარცხება.

პეკინი. 23 აპრილი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით ჩენის ჯარები დამარცხდენ სუნიად სენთან. ჩენამ დაიხია კანტონის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ფიქრობს დიდი ბრძოლის მიცემას, რადგან უ-პეი-ფუმ გაუგზავნა ჩენს ახალი დამხმარე ძალები.

იაპონიის ახალი ავანტიურა

იაპონელების პროვოკაცია.

ჩიტა. 23 აპრილი. **იაპონელები სახალინზე ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, ნიკოლაევსკში (ამურზე) ანარქიის შესახებ. იაპონელების მიერ სახალინზე მოწყობილია რუსული მილიცია და კონტრ-დაზვერვა თეთრი აფიცრებისაგან.**

იაპონია უარყოფს.

ნიუ-იორკი. 23 აპრილი. ამერიკაში მყოფი იაპონიის ელჩი უარყოფს ცნობას სახალინიდან იაპონიის ახალ ჯარების გადაგზავნის შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში

საჰაერო ფლოტისათვის

ჩიტა. 23 აპრილი. ჩიტაში შესდგა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კრება. კრებაზე აირჩიეს მომწესრიგებელი ბიურო. საჰაერო ფლოტის აქციებზე წინასწარ ხელის მოწერით შემოვიდა 250.000 ოქროთი.

აჯანყება დასავლეთ ფრაკიაში.

ანგორა. 24 აპრილი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით დასავლეთ ფრაკიაში მუსლიმან მცხოვრებთა აჯანყება ძლიერდება. აჯანყებულები ესროდენ გრემია ეჯინეს.

ბანკების დახურვა.

ანგორა. 24 აპრილი. ადანაში ოსმალეთის მთავრობამ რეგისტრაციაში არ გატარების გამო დახურა საფრანგეთ-სირიის ბანკი და სხვა დაწესებულებები.

ოპოზიციების რიგებში.

ანგორა. 24 აპრილი. მეორე ჯგუფის ლიდერმა იუსუფ-ზიამ გაზეთ „ტევჰიდი ეფკიარის" თანამშრომელს განუცხადა: „მეორე ჯგუფის უმრავლესობა შესდგება ყოფილ იტტიხადისტებისაგან, ვინაიდან პირველ ჯგუფს ეწოდა დემოკრატიული პარტია, მეორე ჯგუფს შერჩა „უფლებების დაცვის" სახელწოდება.

თეთრ ბანდიტების განადგურება

ჩიტა. 24 აპრილი. ახოტსკო-კამჩატკის მხარის ჯარის ნაწილებმა ათასი ვერსტის გავლის შემდეგ 13 აპრილს გაანადგურეს თეთრგვარდიელების—კოჩკაროვის და გენერალ პოლიაკოვის უკანასკნელი ძალები. პოლიაკოვი და კოჩკაროვი მოკლულია. ხელში ჩაგდებულ ნადავლის რაოდენობას არკვევენ.

ანტიფაშისტური კომიტეტის მოწოდება

ბერლინი. 23 აპრილი. ბერლინში მომქმედმა ანტიფაშისტურმა კომიტეტმა გამოუშვა კლარა ცეტკინისა და ბარბიუსის ხელმოწერილი მოწოდება ყველა მუშათა ორგანიზაციებისადმი დაადგნენ იმ გზას, რომელსაც მიყვება საფრანგეთის კომუნისტები და მოაწყონ პროპაგანდის კვირეული ფაშიზმის სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ მოწოდება წინადადებას იძლევა იდღესასწაულონ 1 მაისი იმ ლოზუნგების ქვეშ, რომლებიც წამოაყენა ფრანკფურტის კონფერენციამ.

რუსეთი და ევროპა

რუსეთ-დანიის შეთანხმება.

მოსკოვი. 23 აპრილი. 23 აპრილს ლიტვინოვმა ხელი მოაწერა დანიასთან დროებითი ხელშეკრულობას, რომელიც შედგენილია იმ სახით, როგორიცაა ხელშეკრულობა სხვა სახელმწიფოებთან. რომელთაც უკვე დაიკავეს რუსეთთან ფაქტიური დამოკიდებულება. შეთანხმება უნდა იქნეს განხილული და დადასტურებული 2 კვირის განმავლობაში.

სხვადასხვა ამბები

რუსეთის ნავთი საზღვარ გარეთ.

ლონდონი. 21 აპრილი. „დეილი ტელეგრაფი იტყობინება რუსეთის ნავთის ზოგიერთ ფირმების მიერ შეძენის შესახებ პარიზში ამ ამბავმა გამოიწვია პროტესტი რუსეთის ყოფილ ნავთის მრეწველების მხრივ. ინგლისის სანავთო საზოგადოების წარმომადგენელმა შერკმა განაცხადა, რომ საზოგადოებას არ შეუძლია თავი შეიკავოს ოპერაციებისაგან, რადგან ნავთს რუსეთისაგან ყიდულობენ სხვა ფირმებიც.

ოსმალეთი არ დაივიწყებს საბჭოთა რუსეთის დახმარებას.

ანგორა. 23 აპრილი. გაზ. „ტანის" თანამშრომელთან საუბრის დროს ალი-აუდმა განაცხადა: „ჩვენი ერის განვითარებისათვის საჭიროა ზავის ხანგრძლივი პერიოდი. ჩვენ არ დავივიწყებთ იმ დახმარებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ აღმოსავლეთიდან, განსაკუთრებით რუსის ხალხისაგან, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს საერთო ინტერესები. ეს კავშირი ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

პაშიჩის გადადგომის შესახებ.

ბერლინი. 25 აპრილი ბელგრადიდან მიღებული ცნობით, პაშიჩმა უარი სთქვა კაბინეტის ხელახლად შედგენაზე, რადგანაც მან ვერ შესძლო შეთანხმების მიღწევა დემოკრატიულ პარტიებთან. მეფემ არ მიიღო პაშიჩის უარი კაბინეტის შედგენაზე, რის გამოც განახლდა მოლაპარაკება პოლიტიკურ პარტიებთან.

მაროკოში.

პარიზი. 25 აპრილი. სენუსი-ამედა ბიეს ტომის სატახტო ქალაქი დაიკავეს იტალიის ჯარებმა.

ღირსეული პასუხი.

პარიზი. 22 აპრ. სასამართლოს ბოქაულმა ჩააბარა კაშენს და მიუნმუსოს საბრალმდებლო ოქმი, რომელიც წარმოადგინა საფრანგეთის მთავრობამ. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ დოკუმენტები ყალბია და მოითხოვეს განთავისუფლება.

პოლონეთი,

მთავრობის კრიზისის წინაშე.

ვარშავა. 23 აპრილი. სეიმის ჯგუფების მოლაპარაკება საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის შესახებ ჯერჯერობით უშედეგოდ რჩება. გაზეთები ფიქრობენ, რომ მტკიცე წონასწორობა გაგრძელდება კიდევ ერთ თვეს, ვარშავში პრეზიდენტის არ ყოფნის დროს.

ჩეხო-სლოვაკია

კომორგანიზაციების დევნა.

პრაგა. 23 აპრ. გაზეთი „რუდე პრავო" იუწყება, რომ პოლიციამ ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციები გამოაცხადა უკანონოთ და დაშალა კომუნისტური ორგანიზაცია შტერნბერგში.

ნაციონალისტები უკმაყოფილონი არიან ზევერინგზე.

ბერლინი. 22 აპრილი. პრუსიის ლანდტაგში გერმანიის სახალხო პარტიის შევიწროების შესახებ მემარჯვენე პარტიების მიერ შეკითხვის გამო მოხდა მღელვარე სცენები. ნაციონალისტი შლანგე კიცხავდა ზევერინგს მასში, რომ ის სახელმწიფო საქმეებში ხელმძღვანელობს პარტიული მოსაზრებებით. შლანგე ლაპარაკობს, რომ კომუნისტებს ის თვლის არ საშიშარ ელემენტათ პოლიტიკურ თვალსაზრისით და ვერც ერთი მოწოდება პატრიოტიული გრძნობებისადმი ვერ აღწევს ზევერინგამდე. შლანგეს ეს გამოსვლა ქონის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს გერმანიის ნაციონალისტები ფიქრობენ რომ ეხლა უკვე დადგა მომენტი, რომ პრუსიის დიდ კოალიციას ჩასცენ გადამჭრელი ლახვარი. მემარცხენე ფრთის წარმომადგენლის, კარლოფის, გამოსვლის შემდეგ, რომელიც კიცხავდა ზევერინგს მასში, რომ ზევერინგი არ არის საკმარისად მიუდგომელი მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალებისადმი, ზევერინგა თავის საპასუხო სიტყვაში ხაზი გაუსვა და მოაგონა ის მკაცრი ზომები, რომელსაც ის მიმართავდა კომუნისტების წინააღმდეგ 19—20 წლებში. ამასთან ზევერინგმა დაუმატა, რომ ის ასეთ მდგომარეობის დაშვებას სთვლის შესაძლებლათ, იმ დროს, როდესაც, მთავრობა მიმართავს ზედა-სილეზიის მოსაზღვრე მცხოვრებთ, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ პოლონელებს.

„დეიციშე ალგემეინე ცეიტუნგი" მოწინავე წერილში „უნდობლობა ზევერინგსადმი" ფიქრობს, რომ ზევერინგის დარჩენა თანამდებობაზე აწი შეუძლებელია".

გერმანიის დეფიციტი.

ბერლინი. 25 აპრილი. გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 1923 წლისათვის უდრის 2,2 ბილიონ მარკას იმ ანგარიშით, რომ დოლარი უდრის 20,000 მარკას. ამ დეფიციტში არ შედის საკონტრიბუციო გადასახადისათვის გაწეული ხარჯები.

მრეწველები მხარს უჭერენ კუნოს.

პარიზი. 25 აპ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის სამრეწველო წრეებმა აღუთქვეს კუნოს კაბინეტს სრული დახმარება გერმანიის წინადადების ფინანსიური გარანტიების საკითხში.

ინგლისის მუშების მძიმე მდგომარეობა.

ლონდონი, 23 აპრილი. „დეილი გერალდი" იუწყება, რომ ამ ჟამათ აუარებელი ინგლისის მუშები, არსებობის აუტანელ პირობების გამო, იძულებულნი არიან დასტოვონ სამშობლო. ემიგრანტთა დიდი უმრავლესობას, სწერს გაზეთი, შეადგენს უმუშევარი ახალგაზრდობა, რომელიც იძულებულია დასტოვოს თავისი სამშობლო იმ დროს, როდესაც თვალუწვდენელი მინდვრები მონოპოლის სახით უჭირავთ ერთ მუჭა ლორდებს პირადი სურვილების გასართობათ.

კონსერვატორთა შორის განხეთქილება ღრმავდება.

ლონდონი. 23 აპრილი. ყოფილ მინისტრების უარის თქმის გამო კაბინეტში დაბრუნების შესახებ, თუ იქ არ იქნება ვირტენხედი, კონსერვატორების პარტიაში განხეთქილება ღრმავდება. 21 აპრილს წარმოთქმულ სიტყვაში კერზონმა უარყო ხმები პრემიერ ბონარ-ლოუს ავადმყოფობისა და სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

ბონარ-ლოუს გადადგომის წინ.

ლონდონი. 21 აპრილი. ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს ტრედიუნიონების წარმომადგენლები საარჩევნო აგიტაციის ხარჯების შემცირების კანონ-პროექტის განსახილველად, კონსერვატორები, პრემიერის გადადგომის შესაძლებლობის გამო დაჟინებით მოითხოვენ პარტიის ლიდერად ჩემბერლენის არჩევას.

უნგრეთი

მცირე ანტანტასთან დაახლოვების ცდა.

ვენა. 22 აპრილი. უნგრეთის მთავრობა ცდილობს დაუახლოვდეს მცირე ანტანტას. პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ბუდაპეშტში საფრანგეთ-უნგრეთის სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარის—ბორის ჩამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთი დიდ ინტერესს იჩენს უნგრეთისადმი.

ჩეხო-სლოვაკია.

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

პრაგა. 21 აპრილი. მთელმა სოციალისტურმა ოპოზიციამ წინადადება შეიტანა პარლამენტში სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ.

თათბირი მთლიანი ფრონტის შესახებ.

პრაგა. 21 აპრილი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის სოციალისტურმა გაერთიანებამ მიიწვია პარლამენტის ყველა სოციალისტური ფრაქციები თათბირზე მთლიანი ფრონტის, უმუშევართა დახმარების და სიძვირესთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

რუმინეთი

ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ გრძელდება.

ვენა. 22 აპრილი. რუმინიის ოპოზიცია განაგრძობს მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლას. რუმინიის სხვა და სხვა ქალაქებში მოხდა დემონსტრაციები. მთავრობას განზრახული აქვს ოპოზიციისა და აგრეთვე ტრანსილვანიაში საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ იმოქმედოს ტერორით.

პოლონეთი

პოლონეთის პროტესტი.

მოსკოვი. 22 აპრილი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა ოფიციალური პროტესტი, ბერლინის მანიფესტაციების წინააღმდეგ, სადაც წამოყენებული იყო ლოზუნგები პოლონეთის ზედა სილეზიის გერმანიასთან შეერთების შესახებ.

ამერიკა.

მწარმოებელთა მოგება იზრდება.

ნიუიორკი. 20 აპრილი. ამერიკის ნავთის მრეწველობის საზოგადოების ,,სიკლერის'' 22 წლის წმინდა მოგება უდრის 25 მილიონ დოლარს წინააღმდეგ 21 წლის, 20 მილიონისა.

იაპონია

იაპონია მიდის დათმობაზე.

ჩიტა. 19 აპრილი. ჩინეთში ანტი-იაპონური მოძრაობის გაძლიერების გამო იაპონიის მთავრობა, იძულებულია წავიდეს დათმობაზე. იაპონიის მთავრობა თანახმაა მოწვეული იქნეს კონფერენცია პორტარტურისა და დაირამის დაბრუნების შესახებ.

წითელ ინტერნაციონალში

რუსეთი

პროლეტარულ ბავშვთა კვირეული.

მოსკოვი. 22 აპრილი. ახალგაზრდობის კომინტერნმა მიმართა ყველა ქვეყნების პროლეტარულ ახალგაზრდობის მოწოდებით, რომელშიაც წინადადებას იძლევა მესამე საერთაშორისო ბავშვთა კვირეული 24—30 ივნისამდე მოანდომონ ბრძოლას პროლეტარულ ბავშვთა მოთხოვნილებისათვის. კვირეულის ლოზუნგები უნდა იყოს: ძირს ბავშვთა შრომა, ბავშვთა სალატაკეს, სასკოლო რეაქციას და პროლეტარულ ბავშვებზე ბურჟუაზიულ ზეგავლენას. გაუმარჯოს ბავშვთა ორგანიზაციას კომუნისტურ ბავშვთა ჯგუფებმა.

სოციალური დაზღვევა.

მოსკოვი. 24 აპრილი. ცენტრალური დამზღვევი სამმართველოს უფროსი ხალეპჩენკო რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს აღნიშნავს, რომ სრულად რუსეთის ცაკის მიერ დაწესებული გადასახადთა ტარიფები შემცირ. 20 პრ. მაგრამ გადასახადების თავის დროზე შეტანა ფაქტიურად გაზრდის დამზღვევი კასების ფონდს ორჯერ. ცენტრალური დამზღვევი სამმართველო ისახავს უახლოეს ამოცანად დამზღვევი გადასახადების არა თავის დროზე შეტანასთან სერიოზულ ბრძოლას, რეპრესიული ზომების საშუალებით. და აგრეთვე გადასახადების აკრეფის საქმეში საკავშირო ორგანოების ჩარევის გზით. ეკონომიის მიზნით გადასინჯული იქნება ინვალიდთა რიცხვი მათ წრიდან გარეშე ელემენტის გამოსარიცხავად.

მუშებმა გაიმარჯვეს.

მოსკოვი. 24 აპრილი. სამარაში კარაუხოვის კერძო სახელოსნოს მუშები მათი მოთხოვნილებების არ დაკმაყოფილების გამო გაიფიცენ. ამ გაფიცვიდან მუშები გამარჯვებული გამოვიდენ. მწარმოებელნი დაეთანხმენ მუშების ყველა მოთხოვნილებაზე.

აეროპლანი ,,საბჭოთა ბელორუსია''.

მინსკი. 23 აპრილი. ადგილობრივმა გაზეთებმა შეკრიბეს უკვე 50,000 მან. აეროპლან „საბჭოთა ბელორუსიას" დასახმარებლად. მნიშვნელოვანი თანხები შემოდის აგრეთვე სოფლიდანაც.

საჰაერო ფლოტი შუა აზიაში.

ტაშკენტი. 23 აპრილი. თურქესტანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა პირველი სხდომა შუა აზიაში საჰაერო ფლოტის მოწყობის საკითხის განსახილველად. სხდომაზე არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიურო. გაზეთ „პროლეტარის" რედაქციამ გახსნა ხელის მოწერა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

ნახშირის ამოღება.

ხარკოვი. 23 აპრილი. აპრილში უკრაინაში ამოღებულია 29 მილიონი ფუთი ნახშირი.

უკრაინის საგანგებო კომისიის ხუთი წლის თავი.

ხარკოვი. 23 აპრილი. უკრაინის საგანგებო კომისიის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გახსნას სახელმწიფო ხარჯზე დასასვენებელი სახლი, უკრაინის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელთათვის.

გემების შეკეთება.

ოდესა. 23 აპრილი. გემების შეკეთება ოდესაში სწარმოებს გაცხოველებული ტემპით. პირველი მაისათვის დამთავრდება 20 გემის შეკეთება.

ბავშვების ექსპლოატაციისათვის.

ოდესა. 23 აპრილი. ოდესის სახალხო სასამართლომ ერთ-ერთ ფეხსაცმელების სახელოსნოს პატრონს ბავშვების ექსპლოატაციისათვის მიუსაჯა ერთი წლის ციხე და ჯარიმა—1,000 მან. ოქროთი.

ესერების გახრწნა.

ნიკოლაევი. 23 აპრილი. ნიკოლაევის ადგილობრივ გაზეთში მოთავსებულია 23 ესერის წერილში, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ ესერების იდეოლოგია აფერხებს მუშათა კლასის გამარჯვების საქმეს ავტორები მოუწოდებენ თავიანთ ამხანაგებს მიბაძონ მათ მაგალითს და შევიდენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც ერთად ერთი ხელმძღვანელია პროლეტარიატის

ამნისტია.

ხარკოვი. 23 აპრილი. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ 1922 და 23 წლების სასურსათო გადასახადის საქმეების გამო.

ემზადებიან სრულიად რუსეთის გამოფენისთვის.

სარატოვი. 22 აპრილი. სარატოვის გუბერნია ენერგიულათ ემზადება სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენისთვის. გლეხობაში ეწევიან ფართო აგიტაციას. აწარმოებენ გამოკვლევებს მეურნეობათა შესახებ, რომელთაც უნდა გაგზავნონ გამოფენაზე თავისი ექსპონატები.

რევოლიუციის პოეტი

მოსკოვი. 24 აპრილი. სრულ რუსეთის ალმასკომმა დააჯილდოვა პოეტი დემიან ბედნი წითელი დროშის ორდენით. სრ. რუს. ალმასკომის პრეზიდიუმმა მიმართა მას მისალმებით, რომელშიც აღნიშნავს რა მის სამსახურს წითელი ჯარის გამარჯვებაში, ამბობს: ნაწარმოებნი თქვენი მდაბიო და გასაგები ყველასთვის, ამიტომაც არაჩვეულებრივათ მძლავრი, ცეცხლით აღანთებდენ რევოლიუციონურ მშრომელ მასას და აკაჟებდენ მის სულიერ სიმტკიცეს. ბრძოლის უმძიმეს მომენტებში. თქვენი სახით პოეზიაში ისტორიაში პირველათ დააკავშირა თავისი ბედი კაცობრიობის ბედთან, რომელიც იბრძვის თავის განთავისუფლებისათვის და ნაცვლად რჩეულთათვის შემოქმედებისა, შექმნა შემოქმედებათ მთელის მასისათვის. სრულ რუს. ალმასკომის პრეზიდიუმი იმედოვნებს, რომ წარმოებულ ბრძოლაში მიუცილებელი მომავალი განსაცდელის შემდეგ თქვენ დარჩებით სასახელოთ რევოლიუციას პოეტის ბრძოლის საგუშაგოზე და თქვენი შემოქმედება, რომელიც მიძღვნილია ხალხისადმი, ფრთებს გაშლის და აყვავდება მთელი თავისი სიძლიერით.

მოწოდება რურის ოლქის მუშების დასახმარებლად

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც ასულდგმულებს საერთაშორისო ძმობის და სოლიდარობის იდეია, მიაქცევს საქართველოს მოქალაქეთა ყურადღებას შემდეგ გარემოებაზე.

ამ ორი თვის წინათ საფრანგეთის მოძალადე იმპერიალისტები ყოველგვარ სამართლიანობისა და კანონიერების დარღვევით შეიჭრენ გერმანიის ტერიტორიაში და დაიკავეს მისი მასაზრდოებელი სამრეწველო ცენტრი, რურის ოლქი.

ისტორიას არ ახსოვს ის სისასტიკე და ძალადობა, რასაც იქ სჩადის ფრანგები და ბელგიელები.

გერმანიის განვითარებული პროლეტარიატი საშინელ და აუტანელ მდგომარეობაშია და მძიმე ლოდათ აწევს მას ოკუპანტთა მონობის უღელი.

ამ მძიმე უღლის გატანაში მას ეხმარება პროლეტარიატი და მისი რევოლიუციონური ავანგარდი, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებული მუშათა კლასი.

მხოლოდ კომუნისტურ ინტერნაციონალმა და ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა აღიმაღლა ამ უმაგალითო უსამართლობის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ მათ დაგმეს და გაკიცხეს გაბედულათ ოკუპანტების ტირანობა და ცინიზმი, მხოლოდ ისინი აღაშფოთა და აალელვა ამ ისტორიულმა უსამართლობამ.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ძმური ხელი გაუწოდა ამ გაჭირვების ჟამს გერმანიის მუშებს და გლეხებს.

რურის მაგალითმა ერთხელ კიდევ აჩვენა მთელი მსოფლიოს მუშებს: თუ ვინ არის ჭეშმარიტი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა, ვის შესტკივა მის გაჭირვებაზე გული და ვინ ადებს მის წყლულებს მალამოს.

რუსეთი ფეხზე დადგა რურის ოლქის პროლეტარიატის დასახმარებლად და თავის ისედაც ღარიბ ჯიბიდან უხვ შეწირულებას უგზავნის მათ. არ დარჩენილა არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი წარმოება, სადაც არ შეეკრიბათ რურის პროლეტარიატისათვის შეწირულება.

სხვა მრავალ დახმარებათა შორის აღსანიშნავია 500 ვაგონი პურის ფქვილის გაგზავნა.

საქართველოს მშრომელ ხალხმაც უნდა გაიღოს თავისი წილი ამ საქმეში, მანაც უნდა გაუწოდოს ძმური ხელი რურის ოლქის ოკუპანტთა მძიმე უღლის ქვეშ მგმინავს გერმანიის პროლეტარიატს. ამას მოითხოვს საერთაშორისო ძმობა და სოლიდარობა და ის საქმე, რომელსაც დღეს საქართველო ემსახურება.

ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ასეთი თვისებებით ღარიბი და მით უმეტეს არ იქნება დღეს. კაპიტალიზმის მონობისაგან უკვე განთავისუფლებული საქართველო არ დაივიწყებს ასეთ მონობაში მყოფ გერმანიის პროლეტარიატს.

ყოველმა მუშამ, ყოველმა მოქალაქემ, ყოველმა გლეხმა უნდა გამოიღოს ამ საქმისათვის თავისი წვლილი.

შეწირულებას ღებულობს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც ამ შემთხვევაში არა მარტო კაცთ-მოყვარეობის გრძნობა ამოქმედებს, არამედ იმ ქვეყნის მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომელ ქვეყანაში არსებობს და მოღვაწეობს.

შეწირულება მიიღება წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში (ლენინის ქ. № 60 თაიროვის შესახვევი № 5) და პროვინციაში საზოგადოების განყოფილებებში, ბათომში ჯანსალკომის მოადგილე კოჩიაშვილის და ფოთში ექ. მიქაბერიძის მიერ. შეწირულების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც.

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.

„უწმინდესი" კონტრ-რევოლიუცია

ტიხონის ჩვენება.

ტიხონს კავშირი ჰქონდა კონტრ-რევოლიუციონერებთან და საბჭოთა რუსეთის მტრებთან.

მოსკოვი. 23 აპრილი. ტიხონის საქმის შესახებ დაბეჭდილ საბრალმდებლო ოქმში მოყვანილია თვით ტიხონის—ბელავინის ჩვენება, რომელიც შეიცავს შემდეგს: ტიხონმა იცოდა, რომ ანტონი კრაპოვიცკი იმყოფებოდა დენიკინის ბანაკში და შეიძლება ვრანგელთან და სკოროპადსკისთანაც, უმაღლეს საეკლესიო სამმართველოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ტიხონმა აკურთხა ყოფილი საეკლესიო სამმართველო, რომელიც მოაწყვეს ანტონიმ სტამბოლში. ანტონი კრაპოვიცკთან, ისევე როგორც უცხოეთში გაქცეულ სხვა კონტრ-რევოლიუციონერებთან ბელავინს ჰქონდა მიწერ-მოწერა წერილებს ღებულობდა ლატვიის, ესტონეთის, ფინეთის პოლონეთის და ზოგჯერ ჩეხო-სლოვაკიის მისიების საშუალებით.

კავშირი ფრონტის იქითა მხარესთან ბელავინს ჰქონდა 18 და 19 წლების განმავლობაში ბელავინს კავშირი ჰქონდა აგრეთვე მისიებთან და ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენლებთან, მაგალითად, 1921 წლის აგვისტოდან 1922 წლის მაისამდე მასთან მიდიოდენ პოლონეთის მისიის ოფიციალური წარმომადგენლები: ფილიპოვიჩი, სტეპანსკი და მურავსკი. 17 წლის დასასრულს ბელავინთან ორჯერ მივიდა ოფიციალური დარბაზობით ინგლისის ელჩი ოლივერი, ბელავინს ეწვია აგრეთვე საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი რეზე მარშანი, რომელმაც აცნობა მას, რომ მოკავშირეებს განზრახული აქვთ განაცხადონ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოსავლეთის ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ. ცნობებს არხანგელსკიდან, როდესაც იქ იყვნენ ინგლისელები, ბელავინი ღებულობდა არხანგელსკის არქიეპისკოპოსის ნაფანაილისაგან.

ტიხონი მხარს უჭერდა კარლოვიცის მონარქიულ ყრილობას.

მოსკოვი. 23 აპრილი. შემოდგომაზე, 1918 წელს ბელავინს დამოკიდებულება და მიწერ-მოწერა ჰქონდა სკოროპადსკისთან, რომელსაც თავისი წარმომადგენლის კრესტოვის საშუალებით უგზავნიდა თავის კურთხევას. დადგენილი იყო ეკურთხებინათ კარლოვიცის ყრილობის მოწვევა კურთხევა ბელავინმა გადასცა ანტონის ერთ-ერთ უცხოეთის მისიის საშუალებით, ბელავინმა კარგად იცოდა, რომ ამ ყრილობაზე იქნებოდენ მონარქიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია რუსეთში თვითმპყრობელური მონარქიის აღდგენის შესახებ.

ტიხონის კონტრ-რევოლიუციონურ ბარათებით სარგებლობდენ თეთრები.

18 და 19 წლებში გაგზავნილი ბარათების და მოწოდებების შესახებ ბელავინმა განაცხადა, რომ ისინი ატარებდენ კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათს და ასეთებს თეთრების ორგანიზაციები იყენებდენ თავიანთ მიზნებისათვის.

ამას გარდა ბელავინი მოუწოდებდა მორწმუნეებს, რათა შეკავშირებულიყვნენ სასულიერო კავშირებში, ეკლესიის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. შემდეგ ბელავინმა აღიარა, რომ ზნამენსკის მონასტერში სამსახურის დროს ის წირვაზე იხსენიებდა ყოფილ მეფეს ნიკოლოზ მე-2-ეს და მის ოჯახს.

ტიხონი წინააღმდეგობას უწევდა დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენას და მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ.

შემდეგ გამოირკვა, რომ ტიხონი მოუწოდებდა ადგილობრივ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დამშეულების სასარგებლოდ საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის საქმეში.

დაახასიათა რა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი 1918 და 1919 წლებში, ბრალდებულმა სთქვა, რომ ამ დროს მას კავშირი ჰქონდა ეგრედ წოდებული ,,ნაციონალური ცენტრის'' წარმომადგენლებთან და აკურთხებდა მათ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებისაკენ

ბრალდებული ამბობს, რომ ბარათი საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ დაწერილი იყო მაღლობელ პირების ნიკანდრის, სერაფიმის და პროფესორ უსპენსკის გავლენით, უშვებდა რა თავის მოწოდებაში, ბელავინი აღიარებს, რომ მას არ ჰქონდა სახეში სისხლის მღვრელი კონფლიქტების გამოწვევა, თუმცა მოწადინებული იყო გაეძლიერებინა უკმაყოფილება და მღელვარება ხელისუფლების წინააღმდეგ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

უმუშევართა კონფერენცია.

ბერლინი. 23 აპრილი. კომუნისტების მიერ ბრემენში მოწვეული უმუშევართა კონფერენციამ განიხილა საკითხი პროფკავშირთა და უმუშევართა თანამშრომლობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საჭიროა პროფკავშირებმა ხელმძღვანელობა გაუწიონ უმუშევართა მოძრაობას.

ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

ლონდონი. 23 აპრილი. კოოპერატიულ საბითუმო ვაჭრობის საზოგადოების ორი ფაბრიკის მუშები ლონდონში გაიფიცენ ხელფასის შემცირების გამო. ნავთის ამომღები მუშები სვანსიაში, მინების დამმზადებელი მუშები ბირმინგამში და ქიმიურ წარმოებათა მუშები ლონდონში ემზადებიან გაფიცვისათვის ხელფასის განზრახულ შემცირების გამო.

მუშები უარს აცხადებენ შეთანხმებაზე.

პარიზი, 22 აპრილი, კრეზის სამრეწველოს მწარმოებლებმა წინადადება მისცეს მუშებს მათი მოთხოვნილებების ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ იმ პირობით, რომ დაუყონებლივ იქნეს განახლებული მუშაობა. საგაფიცვო კომიტეტმა უარყო წინადადება მწარმოებლების.

მწარმოებლები მიდიან დათმობაზე

პარიზი. 22 აპრილი. საფრანგეთის საქსოვ მრეწველობის მუშათა გაფიცვა ძლიერდება. მწარმოებელთა კავშირი, როგორც ეტყობა, მზათ არის დაიხიოს თავისი შეურიგებელ პოზიციებიდან და თანახმაა აწარმოოს მოლაპარაკება მუშათა დელეგაციასთან.

კომუნისტების პროცესი უნგრეთში.

ვენა. 21 აპრილი, კომუნისტების პროცესის დღევანდელ სხდომაზე ბუდაპეშტში სწარმოებდა დაკითხვა იმ ბრალდებულთა, რომელნიც ეკუთვნიან კომ. ახალ. კავშირს, ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მათი ერთ-ერთი დანაშაულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ ოპორტიუნისტულ ლიდერებისადმი უკავიათ უარყოფითი პოზიცია ბევრი ბრალდებულნი გადმოგვცემენ. რომ მათ წინააღმდეგ პოლიცია იღებდა აღმაშფოთებელ ზომებს.

უცხოეთის ცხოვრება

ტელეფონისა და ტელეგრაფის უდიდესი ტრესტი ამერიკაში.

უდიდესი ტრესტი ამერიკაში ამჟამად არის „ამერიკის ტელეფონის და ტელეგრაფის საზოგადოება." მიმდინარე წლის 27 მარტამდი ყველაზე უდიდესი იყო ლითონის და ნავთის (სტანდარტ ოილ კომპანი) ტრესტი. მაგრამ ახლა ტელეფონისა და ტელეგრაფის ტრესტის ძირითადი კაპიტალი 50 მილიონი დოლარით აღემატება უდიდესი ტრესტების კაპიტალს და აღწევს კოლოსალურ ციფრს—ერთ მილიარდ დოლარს.

ამერიკის ტელეფონისა და ტელეგრაფის საზოგადოება შედგა ამას წინათ გარდაცვლილ ტელეფონის გამომგონებელის ალექსანდრე ბელლის მიერ დაარსებული კომპანიის, ნიუ-იორკის ტელეფონის კომპანიის და სხვა 24 ტელეფონისა და ტელეგრაფის საზოგადოების შეერთებით. ომის დროს ამ კომპანიაზე, ისე როგორც რკინის გზებზე მთავრობამ თავისი კონტროლი დააწესა, მაგრამ 1921 წ. ის გათავისუფლებული იქნა კონტროლისაგან; უკვე მაშინ ტელეფონისა და ტელეგრაფის ტრესტის ძირითადი კაპიტალი 600.000 მილიონ დოლარს უდრიდა. და თავის აქციონერებს ზღაპრულ სარგებელს აძლევდა. 1922 წელში საზოგადოებამ სხვა და სხვა მიზნებისათვის თანხების გადადების შემდეგ, მაინც მისცა თავის აქციონერებს 20 პროც. დივიდენდი. საზოგადოების გამგეობის ცნობებით ამ წლის განმავლობაში ს—ბას ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად 186 მილიონი დოლარი დაეხარჯება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ჯამი ამ მიზნისათვის ომამდი მხოლოდ ათი წლის განმავლობაში დაიხარჯა. 1922 წლის განმავლობაში საზოგადოებამ დადგა 600.000 ახალი ტელეფონის აპარატი და თავისი ტელეფონების საერთო რიცხვი 15 მილიონამდი აიყვანა, ამ რიცხვიდან 1,8 მილიონი ნ.-იორკშია.

ნიუ-იორკის კომპანია გარდა ნიუ-იორკისა, ნიუ-ჯერსის და კონნექტიკუტისაც უწევს სამსახურს. მისი აბონენტთა რიცხვი დაახლოებით 15 მილიონს უდრის. ამერიკის ამ ნაწილში, მეოთხედ მცხოვრებს აქვს ტელეფონის აპარატი. დღის განმავლობაში აქ 8.3.0.000-დი. კაცი სარგებლობს ტელეფონით, რისთვისაც კომპანიას სამსახურში ყავს 25.000 ტელეფონზე მოსამსახურე ქალი და 12.000 ტეხნიკური თანამშრომელი. კომპანიის მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა 48 000 უდრის, შრომის ხელფასი კვირაში 12—30 დოლარია.

ნიუ-იორკის კომპანიას მარტო ნიუ-იორკში ქონდა 500-დი სხვა და სხვა შენობა და მან მოაწყო საერთოდ 600-დი ცენტრალური ტელეფონის სადგური. ნიუ-იორკის და მისი მიდამოების ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულების სიგრძე 6.800.000 ინგლისურ მილს უდრის. ეს მავთულები მზადდება ტრესტის ფაბრიკებში „ვესტერნ ელექტრიკ კომპანი", რომელიც ყოველ წლიურად 2 ნახ. მილიონ მილის სიგრძე სპილენძის მავთულს ამზადებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნიუ-იორკში დაიდგა 300,000 ტელეფონი-ავტომატი. მიუხედავათ ტელეფონის ქსელის გაფართოებისა, ნიუ-იორკში მაინც ტელეფონების დიდი ნაკლებობაა და აბონენტებს ნახევარი წელიწადი და ხშირად მეტიც უხდება ცდა, სანამ მათ ბინებში ან კანტორებში ტელეფონის აპარატს დადგამდენ.

მეტად საყურადღებო მოვლენათ ამერიკაში ტელეფონის საქმის განვითარებაში ის მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს, რომ ამერიკაში ტელეფონების საშუალებით ხდება თითქმის ყველა დეპეშების გადაცემა, ისე რომ ეს დეპეშები ფაქტიურად ტელეფონოგრამებს წარმოადგენენ. ეს იწვევს ტელეფონის ქსელის გაფართოებას ტელეგრაფის ქსელის ხარჯზე, რომელიც თუმცა იზრდება, მ გრამ ნელის ნაბიჯით, ტელეფონის საშუალებით წესრიგდება ამერიკელის როგორც საქმიანი, ისე კერძო ცხოვრება. მაგალითად ამერიკელ სასტუმროების თითეული ნომრიდან შეიძლება პირდაპირ ქალაქის ტელეფონის სადგურთან შეერთება და არა სასტუმროს ტელეფონის სადგურთან, როგორც ევროპაშია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აგრონომიულ დახმარება რაჭაში.

მაზრა დაყოფილ იქნა სამ რაიონად. შეძენილ იქნა ამერიკული ლერწები სანერგესათვის და პომოლოგიურ ბაღისათვის სხვა და სხვა ხეხილის ჯიშები. საცდელ საჩვენებელ მინდვრებში ითესება სიმინდი, რომელიც აკრეფის შემდეგ გამოყენებულ იქნება სათესლედ. მარტში მოეწყო საცდელ საჩვენებელი ბოსტანი

სათესლეს აკრეფა.

ქუთაისის მაზრის 30 თემში პირველ აპრილამდე შეკრეფილ იქნა 8940 ფ. სათესლე სიმინდი.

გორის მაზრა.

მცირე წლოვანთა კვირეული.

გორი. 23 აპრილი. მცირე წლოვანთა კვირეული მთელს მაზრაში ჩატარდა დიდი წარჩინებით. გორში შეკრებილია 13 მილ. მანეთი. კიდევ მეტი ყურადღება შემოწირულების შეკრებაში გამოიჩინეს სოფლებმა. შემოწირულების საბოლოო ციფრები ჯერ კიდევ გამოურკვეველია, მაგრამ მოსალოდნელია რამოდენიმე ასეული ფუთი ხორბლეულობა. რომელიც შეიკრიბა უმუშევარ მცირეწლოვანთა სასარგებლოთ.

ლენის მუშების დახვრეტის დღე.

გორი. 23 აპრილი. ლენის მუშების დახვრეტის დღეს გორის სახალხო სახლში შესდგა ადგილობრივი კომუჯრედის სხდომა, რომელსაც დაესწრო მთელი ქალაქის მუშა-მოსამსახურენი. დღის თემაზე მოხსენებით გამოვიდა მაზრის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე

აფხაზეთი

მიწათ-მოქმედების კომისარიატში.

სოხუმი. 23 აპრილი მიწათ-მოქმედების კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე გამოიტანეს დადგენილება იმის შესახებ, რომ საჭიროა და მიზანშეწონილი მთელი მიწათ-მოქმედების კომისარიატი გადავიდეს ხარჯების თავის საშვალებებით ანაზღაურებაზე.

აბხაზეთის კავშირთან ხელშეკრულობა.

სოხუმი. 22 აპრილი. მიწათ-მოქმედების კომის. კოლეგიამ დაამტკიცა აბხაზეთის კავშირთან დადებული გენერალური ხელშეკრულობა, რომლის თანახმათ უკანასკნელს უფლება ეძლევა მიწათ-მოქმედების კომისარიატიდან აღებულ საქონლის და მასალების გაყიდვის დროს აიღოს არა უმეტეს 15 პროცენტსა.

სომხეთი

ფაშიზმთან ბრძოლისათვის.

ერევანი. 24 აპრილი. ფაშიზმთან ბრძოლის ფონდისათვის ერევნის პროფკავშირებმა მოაგროვეს ფული 100,000,000 მანეთამდე.

პროფკავშირების ყრილობა.

ერევანი. 24 აპრილი. 10 მაისისათვის ერევანში მოწვეულია პროფესიონალური კავშირების ყრილობა. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება, მოხსენებები ადგილებიდან, საორგანიზაციო, სატარიფო და კულტურული საკითხები, კოოპერაცია, სოციალური უზრუნველყოფა, შრომის დაცვა და სხვ.

სიმშილობა.

გერიუსი. 24 აპრილი. სიმშილობა ზანგეზურში მწვავე ხასიათს ღებულობს.

დელიჟანი. 24 აპრილი. დელიჟანის მაზრაში დამშეულია 9,000 კაცი. დარიგებულია 15,000 ფუთი სათესლე მარცვლეული.

გზის აღმშენებლობა.

იდჟევანი. 24 აპრილი. გზატკეცილი იდჟევანიდან ყაზახის მიმართულებით შეკეთებულია 38 ვერსის მანძილზე.

პარტიული ცხოვრება

არა ლეგალურ პირობებში მომუშავე ამხანაგთა აღრიცხვა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსებული კომისია, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული იმ პარტიულ ამხანაგთა ცხოვრების შესწავლა, რომელნიც მუშაობდენ არალეგალურ პირობებში და შემოვიდნენ ჩვენს ორგანიზაციაში 1917 წლამდე. ამას გვკარნახებს ჩვენ აუცილებლობა, გვეყოლოს აღრიცხვაზე ისეთი ამხანაგები, რომელნიც უაღრესად გამოზრდილი, თავდადებულნი არიან პროლეტარული რევოლიუციისათვის, რათა საჭიროების დროს წამოყენებულ იქნან ისინი იქ, სადაც მეტი პასუხისმგებლობა, წინდახედულება და გამოცდილება იქნება საჭირო.

ძველ პარტიულ ამხანაგების საჭიროება და მათი უპირატესობა არა ერთხელ აღუნიშნავთ მთელ რიგ პარტიულ თათბირებზე და თვით მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებსაც.

მთელი სიმძიმე რევოლიუციის მოსამზადებელ მუშაობისა ჩვენი ორგანიზაციის დღევანდელი შემადგენლობის სულ მცირე ნაწილმა გადაიტანა. ამ უმცირესობამ გაბედული და თავგანწირული ბრძოლით 1905—1917 წლების ბარიკადებზე შეიტანა ახალი სტრიქონები მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციის ისტორიაში.

თავის ძველ და გამოწრთობილ წინამძღოლთა ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა საბოლოოდ შემუსრა მეფის თვითმპყრობელობა, წითელი დროშით დაფარა დედამიწის ერთი მეექვსედი, და დღეს თავ გამოდებით მუშაობს, რათა იმპერიალისტურ სამოქალაქო ომისაგან დაუძლურებული ქვეყანა ეკონომიურად ფეხზე წამოაყენოს და ააგოს იგი ახალ, პროლეტარული პრინციპების მიხედვით.

რევოლიუციონურ ბრძოლის გასულ წლებში მათ აზრსა და სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღეს, როდესაც ახალგაზრდა მებრძოლნი, მათ კვალზე და მაგალითზე აღზრდილნი, სასწაულებს ჰქმნიან მათ სიტყვასა და სწავლას განსაკუთრებული ფასი ეძლევა. დღეს—მათი სიტყვა და დარიგებანი მოზარდ თაობის გზის მანათებელი უნდა შეიქნეს.

რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში საქართველოს კომპარტიას ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ვინაიდან მისი ბელადნი მოწინავე რიგებში თავგანწირული იბრძოდნენ თავიანთ მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად და კომუნისტურ რევოლიუციის მამამთავართა ანდერძის შესასრულებლად.

ხმამაღლა განაცხადა ამხ. კამენევმა თავის მოხსენებაში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყრილობის გახსნის დროს.

საჭიროა, რათა ყოველმა ძველმა ამხანაგმა სერიოზულად მოკიდოს საქმეს ხელი დ დაწვრილებით აღნიშნოს, რაც თავს გადახდენია განვლილ რევოლიუციონურ ცხოვრების გზაზე. ამით კი შეძლებს მისცემენ კომისიას, რაც შეიძლება ახლო და დაწვრილებით გაეცნონ პარტიის წევრებს ცალ-ცალკე, შეისწავლონ მათი წარსული და აწმყო რაც ესოდენ საჭიროა ზემოხსენებული მიზნისთვის.

ა. ლიცინოვი.

პარტიული მუშაობა ზუგდიდის მაზრაში—მარტში.

დასასრული. იხ. კაზ. „კომ." № 92.

მუშაობა ქალთა შორის. ქალთა შორის მუშაობა გამოიხატება საერთო კრებების მოწვევაში. საანგარიშო თვეში ასეთი კრებები მოწვეულ იქნა 16. ჩატარებულ იქნა მაზრის მასშტაბით ქალთა დღე 8 მარტი. ქ. ზუგდიდში ქალთა განყოფილების მიერ გახსნილია საბავშო სახლი.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. პარტიის ძლიერი გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ სწარმოებს მუშაობა ახ. კომკავშირში ხდება შეერთებული კრებები. წარმომადგენლობა სავსებით დაცულია. საანგარიშო თვეში ჩატარებულ იქნა კომკავშირის სამაზრო კონფერენცია რომლის შედეგი დამაკმაყოფილებელია, ტარდება ანტირელიგიური კამპანია: ქალაქის ეკლესია გადაკეთებული იქნა კლუბათ.

მუშაობა პროფკავშირებში. მუშაობა პროფკავშირებისა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლათ. მაზკომის გავლენა მასზე ძლიერია. პარტია უწევს ხელმძღვანელობას კავშირის მუშაობას. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში ყველა კომუნისტებია.

მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის დარგში. სამაზკომს მჭიდრო კავშირი აქვს აღმასკომთან. არსებობს ურთიერთ წარმომადგენლობა. სამაზრო აღმასკომში შედის ერთი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი, დანარჩენი ყველა კომუნისტებია. აღმასკომის განყოფილების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მიწის რეფორმა სასურველათ ტარდება. ზოგიერთ რაიონებში უკვე დამთავრდა მიწების ჩამორთმევა და ეს ჩამორთმეული მიწები ურიგდება უმიწაწყლო გლეხებს, რომელიც მიწის რეფორმას დიდი სიხარულით ხვდება.

მაზკომის უახლოეს ამოცანათა პირველ რიგში სდგას ანტი-რელიგიური კომპანიის განვითარება, თესვის კამპანია, პოლიტ აღმზრდელობით და საკლუბო მუშაობის გაღრმავება-გაფართოვება.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(25 აპრილი)

ოქროს 10 მან.—13,800 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.) 7,400 ათასი.
დოლარი (ჩეკები) 1,725 ათასი.
ლირა — — — 1,320 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 16,5. ათასი.

ძვირფასი ლითონებ. ს კურსი.

ოქრო 96 სინჯ. მისხალი—3 მან. 40 კაპ., ოქრო 56 სინჯ. მისხალი—1 მ. 70 კ. ვერცხლი 84 სინჯ. მისხ.—6,75 კაპ. ბანკის 1 მანეთი (ვერცხლი) 40 კაპ. ხურდა ვერცხლი—1 მან. 16,5 კაპ.

განწყობილება ვალიუტის ბაზარზე.

(25 აპრილი).

განწყობილებას ახასიათებს კურსის აწევა ყველა ვალიუტაზე. საბჭოთა ფულის ნიშნების კურსი არ შეცვლილა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებთან შედარებით. მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას.

ოქროს 10 მან. კურსი ამიერ-კავკასიის ქალაქებში.

(25 აპრილი დღის 1 საათი).

ბაქოში — — — — 11,400 ათ.
ერევანში — — — 11,900 „
ბათომში — — — 11,660 „

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ქალაქებში.

(21 აპრილი)

ხარკოვი	—775 მილ.
კიევი	—740 „
მინსკი	—665 „
ოდესა	—705 „

ტფილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ყუბანის ხორბალი ფუთი—650—750. ადგილობრივი ხორბალი—600—650. ქერი—400—450. სიმინდი—300—450. ბრინჯი აკულინის—6 000—6200. ფქვილი ბურღული—1200. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—1500—1600. „სეიანკა"—1500. შაქარი რაფინადი ფუთი—34 მან. ქვა მარილი—850. კარაქი 1 ხარ.—15500—16000: თუშური ყველი—7000—12000.

ტფილისის სადგურზე მიღებული ტვირთები.

(24 აპრილს.)

პირდაპირი მიმოსვლით—შაქარი რაფინადი—23879 ფუთი. ხორბლის ფქვილი—2007 ფ. საწერი ქაღალდი—186 ფუთი. სახვევი ქაღალდი—595,5 ფ.

ადგილობრივი მიმოსვლით—ნავთალინი—139 ფ. ღვინის სიმჟავე—36 ფ. ღვინო—928. ძველი ტანთსაცმელი—1091 ფ. ტბის მარილი—1000 ფ. შაქარი რაფინადი—889 ფ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივი.

თეთრი პური—25. ფხვნილი შაქარი კოოპერატივის წევრთათვის—2000 ათასი. ყველასათვის—205 ათ. საპონი „ტოლე"—180 ათ. ადგილობრივი საპონი—180 უცხოეთის ასანთი—15. ლობიო—13.

ცენტრო-კავშირში.

ცენტროკავშირი ამზადებს სოხუმში რამოდენიმე ათას ფუთ თამბაქოს მოსკოვში გასაგზავნად

ხალიჩების ექსპორტი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილება გზავნის საზღვარ-გარეთ ოთხ ვაგონს ხალიჩებს.

ცეკავშირში.

ცეკავშირმა მიიღო მონოპოლიური უფლება აჭარაში ბორჯომის წყალის რეალიზაციაზე. მზად არის რეალიზაციისათვის ერთი ვაგონი წყალი.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

მოელიან რუსეთის საქონლის დიდ პარტიას. სახურავ რკინებს, მინებს, ჭურჭლებს საკონდიტერო ნაწარმოებს და სხ., ეს საქონელი გაიგზავნება რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილებაში.

სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილებაში.

საზღვარ-გარეთიდან მიღებულია სამი საბარგო ავტომობილი, რომელიც დანიშნულია ჯულფა-თავრიზის საავტომობილო ხაზისათვის.

ოფიციალური გარიგებანი.

25 აპრილი.

მოხდა ერთი გარიგება რეზინის ტრესტის ნაწარმოებზე პრეისკურანტის ფასის მიხედვით.

განწყობილება საქონლის ბაზარზე.

(25 აპრილი)

საქონლის ბაზარზე საერთო განწყობილება ხასიათდება შესუსტებით და მოლოდინით. საქონლის მიწოდება სჭარბობს მოთხოვნილებას.

ძირტბილის მოგროვება.

ოპერაციები ძირტბილის დამზადებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ცნობების მიხედვით, მოგროვებულია ნავარაუდევის 110 პროცენტი.

საზა.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გაგზავნა სტამბოლში 1800 ფუთი საზა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ნარმა, ცელი, ჩაი, შოკოლადი, გადადუღებული ერბო, კაკაო, გოგირდი, საბზა, ჯაგარი, ლურსმნები, რეზინის ნაწარმოები, ფანჯრის მინები, ბურღული, სარდინები, შვეიცარიული ყველი, რკინის ნიჩბები, ცხვრის ნაწლევები, სკიპიდარი, ცემენტი ნორტლანდიური, ხორბალი, რკინა, კაუსტიური სოდა, სტავროპოლის ფქვილი, გერმანული ფოცხი

ბირჟის მოთხოვნილება.

ფრანგული სკიპიდარი, მავთული, ნარმა, ბრინჯი, კარტონი, სანთელი, ჩაი—„სოსიფროსი" და „კაზენი", ფოთოლი თამბაქო, მარცვლეული და პურის პროდუქტები, ინგლისური შაბიამანი, ნედლი ტყავი, ნაწლევები, ტეხნიკური ცხიმი, კაუსტიური სოდა, ბერთოლეს მარილი, ლურსმნები, რუსული ასანთი, საპნის სუროგატი, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, მატყლი, ბამბა, რკინის ნიჩბები.

აბრეშუმის ბაზრების მდგომარეობა

(მარტის დამლევს).

მილანის ბაზარზე იტალიურ ლირის კურსის მერყეობის გამო აბრეშუმის ფასების სიმაღლე მეტათ უწონასწოროა. უკანასკნელ ხანს პარკის ფასები ცოტა დაიწია. ციურიხის ბაზარზე მორიგებები ცოტაა, მოთხოვნილება მიმდინარე საჭიროებებით განისაზღვრება, მაგრამ მიუხედავათ ამისა ფასები იქ მტკიცეა და არც მომავალშია მოსალოდნელი მათი დაწევა, რადგან ამერიკიდან მოდიან ცნობები მომხმარებელთა ბაზარზე აბრეშუმზე ინტენსიური მოთხოვნილების შესახებ.

ლიონის ბაზარზე მორიგებები სუსტათ სწარმოებენ, მაგრამ ფასები მტკიცეა მარსელის ბაზარზე პარკისა და აბრეშუმის მარაგი გამოლეულია, საქონლის ტრიალი ძალიან მცირეა. კანტონის, შანხაის და იოკოგამის ბაზრებზე სიწყნარეა; ამერიკელთა ვაჭრობა (შესყიდვა) შორეულ აღმოსავლეთი ბაზარზე შესუსტდა. ნიუ-იორკში მორიგებები თვალსაჩინოთ შენელდა.

ფოთის ნავთსადგურის მუშაობა

(1923 წ. იანვარ—მარტის განმავლობაში).

მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში, საქართველოს ცენტრალური სტატ-სამმართველოს ცნობების მიხედვით, ფოთის ნავთსადგურში შემოტანილი ყოფილა კაბოტაჟით (საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებიდან) 327-893 ფუთი საქონელი, ხოლო ამავე დროს გატანილია ფოთიდან 25.701 ფუთი. ამნაირად, შემოტანილი საქონელი 302 192 ფუთით აღემატება გატანილ საქონელს.

აღნიშნული რაოდენობიდან შემოტანილია—იანვარში—241.997 ფუთი, თებერვალში—70 206 ფ. და მარტში—ფუთი. ხოლო გატანილია—იანვარში—14.668 ფ., თებერვალში—3.302 ფ. და მარტშიც—6.731 ფ.

შედარებით წინა დროის კაბოტაჟურ—შემოტანა-გატანასთან, აღნიშნული რაოდენობა შემდეგ მიმართებას გვიჩვენებს:

	ფუთობით შემოტანილია.	გატანილია.
1922 წ. იანვარ-მარტი	12.348	28 645
„ აპრილ-ივნისი	53.178	245.612
„ ივლის-სექტემბერი	96.421	10.170
„ ოქტომბ.-დეკემბ.	600.697	31.321
1923 წ. იანვარ-მარტი	327.893	25.701

შემოტანა, წარსული წლის განმავლობაში გამუდმებული მატულობდა, ხოლო მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირებულა 1922 უკანასკნელ მეოთხედთან შედარებით, მაგრამ სჭარბობს წინა პერიოდებს. რაც შეეხება გატანას, მას გარკვეული მიმართება არ ახასიათებს უკანასკნელი პერიოდის გატანა, მხოლოდ წარსული წლის მესამე მეოთხედს აღემატება, დანარჩენებთან შედარებით კი მცირეა.

1923 წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში შემოტანილ-გატანილი საქონელი შემდეგ ნაირათ ნაწილდება საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით.

	ფუთობით	
	შემოტანა	გატანა
1. საარსებო საგნები — — —	312.944	22.791
2. ნედლი და ნახევრად დამუშავ. საქ. —	13.298	2.523
3. ნაწარმოები — — — —	1.284	387
4. დაუსახელებელი საგნები — —	367	—
სულ —	327.893	25.701

როგორც გატანაში, აგრეთვე შემოტანაში გადამწყვეტ როლს თამაშობს საარსებო საგნების შემოტანა-გატანა, დანარჩენი საგნების მონაწილეობა უმნიშვნელოა.

აღნიშნული საქონლის რაოდენობა შემდეგნაირათ ნაწილდება გამტან და შემომტან კუთხეების მიხედვით.

№№ რიგზე	საქონლის ჯგუფები	შემოტანა		გატანა	
		საქართველოს ნავთ-დან.	რუსეთის ნავთ-დან.	საქართველოს ნავთ-დან.	რუსეთის ნავთ-დან.
1	საარსებო საგნები . . .	3.619	309.325	10.134	12.657
2	ნედლი და ნახევრად დამ. საქ.	13.013	285	2.083	440
3	ნაწარმოები . . .	199	1.085	337	50
4	დაუსახელებელი . . .	282	95	—	—
	სულ	17.113	310 780	12.554	13.147

გატანილ საქონლის ნახევარზე მეტი გატანილა რუსეთის ნავთსადგურებში, ხოლო შემოტანილი საქონლის უდიდესი ნაწილი შემოტანილია რუსეთის ნავთსადგურებიდან.

საქართველოს ნავთსადგურებში გატანილა ზედმეტათ ნაწარმოები და საარსებო საგნები. რუსეთის ნავთსადგურებში კი ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი

გატანის უმთავრესი საგნებია: მარილი 8000 ფ., თხილი 6755 ფ., დაფნის ფოთოლი 2547 ფ., ბრინჯი 1490 ფ. და ხილი 2066 ფ.; შემოტანილა კი უმთავრესად: ფქვილი 189.554 ფ., ხორბალი 92 000 ფ., მარილი 28 355 ფ., ხე-ტყე 6000 ფ. და თხილი 2 053 ფუთი.

სტატისტიკოსი.

წითელ ჯარში

ქართული დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის მუშაობა.

წითელი არმია იწმინდება.

ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა მუშათა კლასის დამცველი წითელი არმია. ის გუშაგობს მუშათა და გლეხთა ძალაუფლებას, ის იცავს მუშებს კონტრრევოლიუციონური თავდასხმისაგან, ანხორციელებს კაცობრიობის იდეალს—კომუნიზმს. დიდი არის მნიშვნელობა და როლი წითელ არმიისა მსოფლიო რევოლიუციაში, მას დიდი მოვალეობა აწევს თავზე. მან, როგორც კომინტერნის შეიარაღებულმა ძალამ საფლავი უნდა გაუთხაროს მსოფლიო იმპერიალიზმს, ისტორიის არქივს გადასცეს კაპიტალიზმი და მის ნანგრევებზე შექმნას ახალი ქვეყანა. იმისათვის—არის რომ რევოლიუციის მტრები ცდილობენ დაიბუდონ წითელ არმიაში და შექმნან შანში თავისი მიზნების განსახორციელებლათ ხელსაყრელი პირობები; მაგრამ წითელ არმიას აქვს თავისი მედგარი მცველი სამხედრო რევტრიბუნალი, რომელიც სასტიკი მახვილით სდევნის და სწმენდს წითელ არმიის რიგებს ყველა ბოროტმოქმედებისაგან, მოღალატეებისაგან. ამ მოკლე ხანში ქ ქუთაისში და ბათომში გამგზავრებულმა სამხედრო რევტრიბუნალის სესიამ შემადგენლობით: თავმჯდომარე—აკ. ლეჟავაშვილი, წევრები—ალ. მუჯიაშვილი და გიორგი ჯვარშეიშვილი, სასტიკი სასჯელით გამოაკლო წითელ არმიის რიგებს ყველა ბოროტი და უღირსი პირები.

1. 10 აპრილს ა. წ. გაირჩა საქმე ქუთაისის მცველ მსლებელთა ათასეულის წით. არმ. ირაკლი ძნელაძის, მიცემული პასუხისგებაში 210 მუხ. 1 ნაწ. მიესაჯა 6 თვე, ამნისტიის შეფარდებით.

2. იმავე დღეს გაირჩა საქმე მცველ მსლებელთა ათასეულის, სერაფიონ ბრეგაძის, აქსენტი მელქაძის და ვიქტორ დარასელიას მიცემული პასუხისგებაში 210 მუხ. 1 ნაწ. მიესაჯა 8 თვე.

3. 11 აპრილს გაირჩა საქმე ქუთაისის საარტილერიო საწყობის უფროსის და ზედამხედველის გ. ყვავაძის და კ. კაშიას საქმე, მიცემულა პასუხისგებაში 116 მუხ. II ნაწ. მიესაჯა ყვავაძეს 5 წელი კაშიას კი 4 წელი.

4. 13 აპრილს გაირჩა საქმე მცველმსლებელთა ათასეულის წითელ არმ. ვლადიმერ ჭანტურიასი, მიცემული პასუხისგებაში 207 მუხ. III ნაწ. გამართლებულია მხოლოთ მიეცა პასუხისგებაში გარუჩავა—208 მ., ბაბუნაშვილი 210 მ. 1-ლი და 208 მ. ორაგველიძე და დარსაველიძე 210 მ. 1 ნაწ.

5. 14 აპრილს გაირჩა საქმე მცველ მსლებელთა ათასეულის წით. არმ. შამათავა კონდრატი, ირაკლი პირტახია და ტერენტი თირქია, მიცემული პასუხისგებაში 210 მ. 1 ნაწ. მიესაჯა თვითეულს 8 თვე ამნისტიის შეფარდებით.

6. 18 აპრილს მე-2 ლეგიონის წითელ არმიელის ივანე კველიშვილის საქმე 210 მ. 1 ნაწ. და 214 მუხლი 1 ნაწ. და II ნ. მიესაჯა ერთი წელი და სამი თვე ამნისტიის შეფარდებით.

7. იმავე დღეს გაირჩა იმავე ლეგიონის წითელ არმ. თედო ქავთარაძის და მოსე არგონაიძის საქმე მიცემული პასუხისგებაში 214 მ. 1 ნ. მიესაჯა თითეულს ერთი წელი ამნისტიის შეფარდებით.

8. 19. აპრილს გაირჩა მე-2 ლეგიონის მე 4 ასეულის უმფროსის თანაშემწის პეტრე გორგოძის საქმე, მიცემული პასუხგებაში 187 მ. 1 ნ. სასამართლომ შესცვალა მუხლი 116 მუხ. 1 ნ. და მიუსაჯა ერთი წელი სამსახურიდან დათხოვნით და ამნისტიის შეფარდებით.

9. 20 აპრილს გაირჩა მე-2 ლეგიონის მეჯვრავეთა ასეულის უმფროსის ივანე ქარსელაძის საქმე, მიცემული პასუხგებაში 207 მ. III ნ. მიესაჯა 6 თვე ამნისტიის შეფარდებით.

ამრიგად პირველი სესია დამთავრდა და ვიმედოვნებთ, რომ სამხედრო რევტრიბუნალი, იხელმძღვანელებს რა მუშათა და გლეხთა კანონებით და აგრეთვე რევოლიუციონური სინდისით და სიმტკიცით, ყველა უღირსს და ბოროტ ელემენტებს ჩამოაცილის რევოლიუციის დარაჯს—წითელ არმიას.

გ. ჯვარშეიშვილი.

პროფკავშირებში

მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში.

კოლექტიური ხელშეკრულება.

კავშირის გამგეობამ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება გერმანელთა საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან.

მოითხოვენ ეკლესიების დახურვას.

ქალაქის მეორე და მესამე საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება რუს მისიონერთა ეკლესიების დახურვის შესახებ.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

მუშა-ძალის სწორი განაწილებისათვის

კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში, რომ შრომის ბირჟის მიერ მუშა ძალის განაწილების დროს ბევრ უწესოებას აქვს ადგილი, დაადგინა სთხოვოს საქ.-პროფკავშირთა საბჭოს გამოჰყოს შრომის ბირჟასთან ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავე უმუშევართა ცალკე სექცია.

სოციალურ დაზღვევის საკითხი.

კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ადგილკომებს აიძულონ სამეურნეო ორგანოები, რათა უკანასკნელებმა თავის დროზე შეიტანონ ანარიცხები დაზღვევ. კასაში.

ნავთსადგურების ტერიტორიებზე.

კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ნავთსადგურების ტერიტორიებში თავმოყრილია კავშირის აუარებელი უმუშევარი წევრები, დაადგინა ამ ადგილებში ტვირთების ყოველგვარ გადატან-გადმოტანა ხდებოდეს მხოლოდ კავშირის წევრთა საშუალებით.

მისაბაძი მაგალითი

აღორძინებულ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი უკვე იპყრობს მუშა-მოსამსახურეთა ყურადღებას. ეს თავდებაა იმისი, რომ სოციალ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი განახორციელებს იმ მიზნებს, რომლებისათვისაც ის მოწოდებულია.

ყოველ სახელმწიფოებრივ საქმეს სჭირდება ხალხის დახმარება, მხარის დაჭერა. პირველობა ამაში კომისარიატის მიმართ გამოიჩინეს სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეებმა: მათი საზოგადო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გადადებულ იქნა სოციალ უზრუნველყოფის ფონდის გასაძლიერებლათ ერთი დღის ხელფასი 338.945.000 მ. რაც კომისარიატმა უკვე მიიღო.

კომისარიატი ექსპედიციის თანამშრომლებს უძღვნის მადლობას სახელმწიფო საქმეზე ასეთი მზრუნველობისათვის.

სოციალ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

მენშევიზმის დაშლა

ტრამვაის მუშების [illegible]

საერთო კრება.

დარბაზი გაჭედილი იყო ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებით. შეიკრიბა 350 კაცი. მოხსენება მენშევიზმის დაშლის შესახებ გააკეთეს 2-ე რაიონის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ნაზაროვმა და ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლადო სუხიშვილმა. მომხსენებლები თავის სიტყვაში დეტალურად შეეხენ მენშევიკური პარტიის დაშლის ისტორიას; აღნიშნეს ამ პარტიის მთავარი გეზი და ტაქტიკა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავდა მუშათა კლასი. და რომელიც ყოველ ნაბიჯზე ღალატობდა მას გააკეთეს რა ანალიზი ამ პარტიის მუშაობას 1903 წლიდან და მისი გამცემლური როლს ყველა რევოლიუციონურ ეტაპებში, მომხსენებლებმა დაასრულეს სიტყვები და აღნიშნეს, რომ ყველა პატიოსანი მუშები გაერთიანებული ძალებით უნდა შეუდგინ მუშაობას ჩვენი მეურნეობის აღსადგენად. რის შემდეგ კითხულობენ სიას მენშევიკურ პარტიიდან 22 ძველი წევრის გამოსვლის შესახებ.

მუშების გამოსვლა.

მენშევიკურ პარტიის ყოფილმა წევრებმა თავის სიტყვაში დაახასიათეს თავისი პარტია, როგორც ისეთი პარტია, რომელმაც უღალატა მუშათა კლასს და მუშაობდა ბურჟუაზიასთან სრულ კონტაქტში, მუშათა კლასის ინტერესების ერთად ერთი დამცველი კომპარტიის წინააღმდეგ ისინი ამბობდენ: „ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ჩამოშორებული მუშათა კლასისაგან და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ვიბრძოლოთ საერთო მტრის—კაპიტალის წინააღმდეგ. და დღეს, როდესაც ვახდენთ ამ აქტს ჩვენ სავსებით შევიგნეთ მისი მნიშვნელობა, როგორც ერთად ერთი საწინდარი ჩვენი საბოლოვო გამარჯვების, როდესაც ხელს ვაწერდით ამ აქტს, ჩვენ სავსებით ვგრძნობდით, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი დამცველი მშრომელთა მასების, რომელიც არასოდეს არ ღალატობდა მუშათა კლასს და დაუზოგავათ იბრძოდა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისათვის".

რეზოლიუცია

„ჩვენ, მენშევიკების პარტიის ყოფილი წევრნი, ტფილისის ქალაქის ტრამვაის მუშები ამით ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ამ მომენტიდან მენშევიკების მოღალატე პარტიასთან არავითარი საერთო არ გვექნება, სავსებით თანაუგრძნობთ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მართლაც მიჰყავს მშრომელი მასსები სწორი გზით ბრწყინვალე მომავლისაკენ—კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს კომპარტიას და ერთიან პროლეტარულ ფრონტს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ!"

1) ყვავილოვი ვასილ	1905 წ.
2) ზეინაშვილი კონდრატი	1902 „
3) ყურიაშვილი გიორგი	1902 „
4) თომაძე ივანე	1899 „
5) ვიგორბინი ნიკოლოზ	1897 „
6) მაისურაძე ანტონი	1903 „
7) დონდუაშვილი	1899 „
8) ქინქლაული ილია	1903 „
9) მახარაძე ფილიპე	1905 „
10) ჩიჩუნაძე თეოფილე	1919 „
11) შარაშანიძე ვალერიან	1917 „
12) გოგოლაძე ერმალოზ	1900 „
13) ჩხარტიშვილი კონსტ.	1903 „
14) მარაკიშიძე გრიგოლი	1917 „
15) კუკულაძე გიორგი	—
16) წიტიაშვილი გიორგი	1903 „
17) სამხარაძე ერმალოზ	1905 „
18) მუმლაძე იოკიმე	1905 „
19) ლომაური გრიგოლი	1905 „
20) ტომარაშვილი რაჟდენ	1903 „
21) აბესაძე სიმონ	1907 „
22) რევაზოვი გრიგოლ	1900 „

ქრონიკა

განათლების კომისარიატში.

— **აგარაკები ბავშვებისათვის.** განათლების კომისარიატის განკარგულების თანახმად, სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობას გადაეცა საბავშო კოლონიებისთვის „ბავშვთა ქალაქის" (კოჯორის) შემდეგი აგარაკები: ყოფ. ანანოვის, ენფიაჯიანცის (ორი აგარაკი), ხოსროევის, იხარლოვის, ბერიძის და ხალათოვის. აღნიშნული აგარაკების სათანადო შეკეთება უკვე დაიწყო.

— **ჯარში გაწვევათა შესახებ.** განათლების კომისარიატმა ყველა ტეხნიკუმების და განაწილების განყოფილებების გამგეებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა: თანახმად ცენტრ. აღ. კომ. და კომისართა საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია 1901 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა, რისთვისაც წინადადება გეძლევათ თქვენს დაწესებულებებში, აღნიშნულ წელში დაბადებულნი, მოსამსახურენი გამოცხადდენ მიმღებ პუნქტში.

ქალაქის აღმასკომში.

— **გადამდებ სენიანთა საავადმყოფო.** ჯანმრთელობის განყოფილების მთავარი ექიმის მომართვის გამო ქალაქის საავადმყოფოს ბინიდან (ბებუთოვის ქუჩა № 58) კერძო მდგმურების გამოსახლების შესახებ, აღმასკომის მცირ პრეზიდიუმმა დაადგინა შესდგეს კომისია, ჯანმრთელ. განყ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საბჭოთა სახლების მმართველობის თითო წარმომადგენლისაგან, რომელიც გამოარკვევს თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნულ სახლში გადამდებ სენიან ბავშვთა საავადმყოფოს გახსნა.

— **ანგარიშების შედგენა.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა დაევალოს სტატისტიკური განყოფილების გამგეს ამხ. ა. რუხაძეს ყოველ თვიურად შეადგინოს აღმასკომის მოქმედების ანგარიშები სახ. კომისართა საბჭოში წარსადგენად.

— **აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.** 19 აპრილს მომხდარმა ქალაქის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა გამოეყოს კომუნალურ. მეურნეობის მუშაკთა კავშირს და ჩაეწეროს საბჭოთა მოსამსახურეების კავშირში. რის შემდეგ მოხდა ადგილობრივ კომიტეტის და შრომის დამცველი კომისიის არჩევნები.

— **სამკურნალო გადასახადი.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა—დადასტურდეს საფინანსო კოლეგიის დადგენილება 1923 წ, სამკურნალო გადასახადის გაუქმების შესახებ, ეს საკითხი გადატანილ იქნეს გაფართოებულ პრეზიდიუმის სხდომაზე საბოლოო განსახილველათ.

— **ქირისაგან განთავისუფლება.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა აღმშენებელ მუშათა კავშირის მომართვა 1-ლ მარტამდე სადარაბო ქირისაგან განთავისუფლების შესახებ. ხოლო 1 მარტიდან კი კავშირმა აღნიშნული დარაბის ქირა უნდა გადაიხადოს 10 მ. ოქროთი.

— **კლუბის გადაცემის შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა უარი ეთქვას ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირის პლეხანოვის ქუჩაზე მდებარე კარლ მარქსის სახელობის კლუბის უფასოთ გადაცემის შესახებ, ხოლო წინადადება მიეცეს საფინანსო განყოფილებას კლუბი გასცეს იჯარით და უპირატესობა მიენიჭოს აღნიშნულ კავშირს.

— **გადასახადების შემცირება.** პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქის საძოვარ ადგილების გადას ხადი შემცირდეს 50 კაპეიკიდან 25 კაპეიკამდე და წინადადება მიეცეს სადგილმამულო განყოფილებას დაუყონებლივ შეკრიბოს გადასახადი აღნიშნული ნორმით.

გამომცემლობა.

— „**პროპაგანდისტის თანამგზავრი**". საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პარტიულ პროპაგანდისტების სახელმძღვანელოთ 300 გვერდიანი წიგნი „პროპაგანდისტის თანამგზავრი". წიგნში მოთავსებულია მდიდარი მასალა რევოლიუციისა და კერძოდ რუსეთის კომ. პარტიის შესახებ.

— „**ქართველი მწერლები**". გამოვიდა მესამე წიგნი სკოლებში სასწავლებლად „ქართველი მწერლები", ივ. გომელაურის მიერ შედგენილი. გამოცემა იკუთვნის საიქციონერო გამომცემლობა „წითელ წიგნს". წიგნი ღირს 55 კაპ. ოქროთი.

— „**ქრისტიანობის წარმოშობა**". საქ. ახალგ. კომკავშირის ცეკამ გამოსცა პროფ.-დოქტორ ნ. თ. ადაროვის საინტერესო წიგნი „ქრისტიანობის წარმოშობა". წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 200 გვერდს და ღირს 30 კაპ. ოქროთი.

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი

საოპერო თეატრი

23 აპრილი

თუ სიტყვა სიმფონია ნიშნავს ხმათა შეწყობას, მაშინ ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია H-mole, კარდინალური ნომერი 23 აპრილის კონცერტისა, ყველაზე უფრო შეესაბამება ამ ტერმინს ვინაიდან ამ ნაწარმოებში მართლაც რომ გასაკვირალი ხმათა შეწყობა (Spheren musik—მუსიკა უმაღლეს სფეროთა). ეს სიმფონია უკანასკნელია დიდ რუს ლირიკოსის სიმფონიურ შემოქმედებაში, რასაც ეწოდება „პათეტიური".

სიმფონია დაწყებულია 1893 წ. ზაფხულში და დათავებული იმავე წლის ოქტომბერში, კომპოზიტორის ადრინდელი სიკვდილის რამოდენიმე დღის წინად. ჩაიკოვსკი გარდაიცვალა პეტროგრადში 1893 წ. 24 ოქტომბერს ხოლერისაგან. 1893 წ. 16 ოქტომბერს ეს სიმფონია პირველად იქნა დადგმული სატახტო ქალაქის ერთ-ერთ სიმფონიურ კონცერტზე, დირიჟირობდა მას (უკანასკნელად სიცოცხლეში) თვით ჩაიკოვსკი. მთელ თავის სიცოცხლეში ჩაიკოვსკი იყო ფატალისტი. საკვირველი იგივეობაა იმ მიზეზებსა, რომელნიც თან ახლდენ ჩაიკოვსკის სიკვდილს, და იმ მიზეზებს შორის, რომელნიც ახლდენ დიდი მოცარტის სიკვდილს, რომლის მხურვალე თაყვანისმცემელი და [illegible] მთელს მის ცხოვრებაში იყო ჩაიკოვსკი. როგორც ცნობილია, მოცარტის სიკვდილის ცოტა ხნის წინ. ვიღაც ვენის მეცენატმა შეუკვეთა დიდ კომპოზიტორს რეკვიემის დაწერა.

მოცარტმა მიიღო დაკვეთა და აღარც დაამთავრა ის, თუმცა არავითარი საშიშროება არ მოელოდა მის სიცოცხლეს, ვინაიდან იყო თავის ფიზიკურ ძალთა გაფურჩქვნა-განვითარების ხანაში. მოცარტი ეუბნებოდა თავის მეგობრებს, რომ ის გრძნობს სიკვდილის სიახლოვეს და აუცილებლობას და რეკვიემი იგი მან დასწერა თავის დამარხვისათვის. მოცარტი აღმოჩნდა წინასარმეტყველი: მართლაც, რეკვიემის დაწერის შემდეგ მოცარტი მოკვდა (გადმოცემის თანახმად ის მოწამლულ იქნა თავის მეგობრის სალიერისაგან, რომელსაც ძლიერ შურდა მოცარტის სახელი და დიდება) და რეკვიემი პირველათ შესრულებული იქნა გენიალური კომპოზიტორის მოცარტის დამარხვაზე. აგრეთვე ჩაიკოვსკიმ სრულიად ჯანმრთელმა და არა მოხუცებულმა კაცმა (მოკვდა ის

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხანაგ მუშებს.

კითხვა: აქვს თუ არა დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეს უფლება მოსთხოვოს თავის ადმინისტრაციას კომპენსაცია (ჯილდო) იმ შემთხვევაში, როდესაც მას თანახმად მისი მოთხოვნილებისა ვერ მიეცემა მორიგი შვებულება მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო?

პასუხი: ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეს შვებულება, თუ კი ეს უკანასკნელი ამას მოითხოვს მისგან; წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციამ მუშა-მოსამსახურეს აუცილებლად უნდა მისცეს კომპენსაცია (ჯილდო), რომლის რაოდენობა განისაზღვრება მისი საშვალო განაკვეთის მიხედვით აღნიშნულ ჯილდოს გაცემის დროს.

კითხვა: რა უფლება ენიჭება იმ მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც ვერ მიუღია მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო არც შვებულება და არც კომპენსაცია?

პასუხი: აღნიშნულ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთ უფლება აქვთ ადმინისტრაციისაგან მოითხოვონ, რათა მომავალ წელში მათი მორიგი შვებულება მოგროვებულ იქნას გასულ წლის შვებულების ვადით.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა რამოდენიმე წლების მორიგი შვებულებათა შეერთება და ერთდროულად სარგებლობა?

პასუხი: შეიძლება შეერთებულ იქნას მხოლოდ ორი წლის შვებულებები, ორ წელზე მეტ წლების შვებულებების შეერთება და ერთდროულად სარგებლობა (ამგვარად გაგრძელებულ დასასვენებელ დროს) აღკრძალულია.

(იხ. კოდ. შრ. კან. მუხ. 91—120).

მელითონეებში

1923 წ. 21 აპრილს ლითონის განყოფ. მე 3 ავტო-სახელოსნოები მოხდა მელითონეთა კავშირის კლუბის საზეიმო გახსნა.

კლუბი მოთავსებულია სახელოსნოების ზედა სართულში, ვრცელ-სინათლიან ოთახებში, მოთავსებულია სცენა-დეკორაციებით, კედლებზე გაკრულია პლაკატები სადღეისო ლოზუნგებით, სურათები კომუნისტურ პარტიის ბელადებისა, წითელი დროშები. ყველაფერს სიცოცხლე ეტყობა, ყველგან ეტყობა მუშის ხელი იქ, სადაც ოდესღაც ყაზარმები იყო, დღეს მელითონეთა კულტურის კერაა.

კლუბის გახსნას დაესწრო დიდძალი ხალხი, მელითონეთა კავშირის მუშებისა და მათი ოჯახების. ყველას სახეზედ ღიმილი და სიხარული იყო აღბეჭდილი. მელითონე მუშები დღეს კლუბში შეერთდნენ, დაეწაფნენ კულტურულ მუშაობას, ყველას სურს თავის წვლილი შეიტანოს ამ დიად პროლეტარულ კულტურაში.

მელითონეები სიხარულით მოელიან სიტყვებს. საღამოს ხელმძღვანელობდა კულტ-უჯრედის წევრი ელიაშვილი.

კლუბის გახსნას მიესალმნენ: მელითონეთა კავშირის სახელით ამხ. ბ. მაჩაიძე, მე 2 რაიონულ კომიტეტის სახელით ამხ. ა. ნაზაროვი, პოლიტიკურ განათლ. მთავარ მმართველობის სახელით ამხ. ი. პანტურია, საქართველოს პროლეტკულტის სახელით—მეჯანოვი, სრულიად რუსეთის პროლეტკულტის სახელით—ვ. იგნატოვი, მელითონეთა კავშირის ერთი დამაარსებელთაგანი ამხ.—ავატკოვი, მე-2 რაიონის კომუნისტურ ახალგაზრდათა სახელით ამხ. გავრიში. ორატორების მისასალმებელ სიტყვებში გამოიხატებოდა სითბო და სურვილები გამარჯვებისა პროლეტარულ ხელოვნებაში, რათა მუშებმა აამაღლონ და ააყვავონ კულტურული მუშაობა ადგილობრივ ქარხანა—სახელოსნოებში მუშათა შორის. მუშათა კლუბები, როგორც მუშათა კულტურული კერა, უნდა ისახავდნენ მიზნათ: პროლეტარულ ხელოვნებაში მუშების მომზადებას, თვით შემოქმედების გაღვივებას მათში.

თითეულ მისალმების შემდეგ სამხედრო მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს.

მუშ. კორ. მელითონე.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ამა წლის 21 აპრილს შესდგა ინსპექციის თანამშრომელთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 65 თანამშრომელი. გარჩეული იქნა საკითხები: 1) რ. ს. ს. ფ. რ. ფინანსთა კომისარიატის მიერ გამოშვებულ ოქროს მომგებიანი სესხის შესახებ; 2) სანატორიუმ არაზინდოს სასარგებლოდ ჯამაგირებიდან 1 პროც. გადარიცხვის შესახებ; 3) რევოლიუციის მებრძოლთათვის დახმარების გაწევის შესახებ; 4) სატარიფო-საკონფლიქტო კომისიის საინფორმაციო მოხსენება.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. სალაძე, რომელმაც აღნიშნა სესხის მნიშვნელობა საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის აღორძინებაში და ხელსაყრელი პირობები, ობლიგაციების შემძენთათვის.

კრებამ დაადგინა—ეთხოვოს ინსპექციის ადმინისტრაციას მისცეს თანამშრომლებს, ვინც მოისურვებს სესხის ობლიგაციების შეძენას „ავანსები," რომელიც დაექირიებათ თანამშრომლებს 2—3 თვის განმავლობაში. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს დ. კლდიაშვილი, მან აღნიშნა სანატორიუმ არაზინდოს უდიდესი მნიშვნელობა არამც თუ საქართველოს მშრომელთათვის, არამედ მთელი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მაუწყა მან კრებას იმ მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებს საქ. პროფკავშირთა საბჭო მუშა-მოსამსახურეთათვის ყველა აგარაკებზე ბინების და დასასვენებელ სახლების აშენება-მოწყობის მხრივ საერთოდ, და კერძოდ კი სანატორიუმ არაზინდოს აშენების საქმეში. ამხ. კლდიაშვილის მოხსენების გამო კრებამ ერთხმად დაადგინა: გადაიდოს ერთი პროცენტი აპრილის თვის ყველა თანამშრომლების ჯამაგირიდან სანატორიუმ არაზინდოს სასარგებლოდ, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცეს დანიშნულებისამებრ.

რევოლიუციის მებრძოლთათვის, რომლებიც იბრძვიან საზღვარ-გარეთელ ფაშიზმის წინააღმდეგ, კრებამ ამხ. იზრაელის მოხსენების შემდეგ დაადგინა—გადასდოს ერთი პროცენტი თავის თვიური ჯამაგირებიდან. სატარიფო-საკონფლიქტო კომისიის მოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კ. მეხიმ, რომელიც კრების მიერ იქნა მიღებული ცნობად.

ინფ.—კორ. დ. კლ—იაშვილი.

დაუშვებელი მდგომარეობა

(თბილისის ალმასკომის საყურადღებოთ)

თხინვალის ქუჩაზე (მე-2 კომისარიატი) მდებარეობს სახლი № 11, რომელიც მეორე ფასადით გამოდის მეჯევაია ქუჩაზე. სახლი მოშორებულია თხინვალის ქუჩას ოთხ-ხუთ არშინზე და იმავე დროს ქუჩის ზედა პირთან შედარებით, დაბლა დგას, დაახლოებით ორ საჟენზე, რის გამო, ადგილი სახლის და ქუჩის შორის ღრმა ორმოს წარმოადგენს. მთელი უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს ორმო ღია არის თხინვალის ქუჩიდან; ის არ არის შეკავებული ფიცრულით, ან რაიმე სხვა სახით. ეს კი დიდ საშიშროებას წარმოადგენს ღამე—მგზავრთათვის, როდესაც სინათლე ამ ქუჩაზე არც იმდენად საკმარისი არის. მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო საშიშია ყველა ახლო მცხოვრებ მშრომელთა ბავშვთათვის, რომელთაც არც ისეთი მოვლა აქვთ და რომელთაც მუდამ თავს დასტრიალებს ამ ღრმა ორმოში ჩავარდნის საფრთხე. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. იმედია, თბილისის ალმასკომი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ სახლის თავგასულ მეპატრონეს და მშრომელთა ნორჩ თაობის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აიძულებს მას გააკეთოს აქ უბრალო ფიცრული მაინც.

ადგილობრივ მუშა—მცხოვრებლების დავალებით **მუშკორი**—ა. ნ.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების დაჯარიმება.

რამოდენიმე ხნის წინეთ სახ. კვების კავშირის ადგილკომმა ოქმი შეუდგინა სერგო და არკადი სარიევებს იმის გამო, რომ ისინი მუშა-მოსამსახურეთ ხელფასს არ აძლევდნენ. ექსპლოატატორების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მათ 2—მუშისთვის—არუტინოვისა და მხიტაროვისთვის ოთხი წლის განმავლობაში ჯამაგირები არ მიუციათ და მათ ნაცვლად უძლევიათ მხოლოდ მცირეოდენი პროცენტები შემოსავლისა. ხოლო ადგილკომის მოთხოვნაზე რომ მათ მიეცათ მუშებისთვის ჯამაგირი კავშირის განაკვეთის მიხედვით ვაჭრებს უარი განუცხადებიათ. გარდა ამისა მუშებს მათ დაზღვეული არ ჰყოლიათ და მათთვის არც საანგარიშო წიგნაკები მიუციათ. სახალხო სასამართლოს უკანასკნელმა სესიამ სავსებით დაამტკიცა ბრალდებულ სარიევების მიერ შრომის კანონების დარღვევა. აღიარა ისინი დამნაშავედ და 100 მანეთი ოქროთი დააჯარიმა.

---

54 წლის) სიკვდილის რამოდენიმე ხნის წინ იგრძნო სიკვდილის მოახლოვება და ეუბნებოდა თავის მეგობრებს, რომ მეექვსე სიმფონია არის მისი უკანასკნელი ნაწარმოები—საუბედუროთ მისი სიტყვებიც გამართლდა. ჩაიკოვსკის სიცოცხლეში ეს სიმფონია დადგმულ იქნა მხოლოდ ერთხელ: გამოცემულ იქნა და სახელი და პოპულიარობა მოიპოვა კომპოზიტორის სიკვდილის შემდეგ. ახლა ჩაიკოვსკის ეს ნაწარმოები არ იხსნება სიმფონიური კონცერტების რეპერტუარიდან. სიმფონია იწყება პატარა მელოდიით (largo) (სიკვდილის წინათგრძნობა)—პირველი თემა გადადის უფრო მაღე თემაზე (allegro) რაცპერიოდიულათ მაინც ირღვევა ღრმა მწუხარებით და დარდით. მეორე ნაწილი ძნელი რიტმი ხუთი მეოთხედით).

(allegretto cov grazia) გადადის მესამე ნაწილში, სადაც იმარჯვებს სამხიარულო თემა (piccicato ჰიანურებში და სხვა სიმებიან საკრავებში) რომლის ფინალი აღნიშნავს გადაწყვეტ ბრძოლას ბედთან და მოწოდებას სინათლისაკენ, მაგრამ ვაი, რომ ადამიანი უძლურია: ბედი შეუბრალებელია და ეს უიმედობა გაშლილ იქნა სიმფონიის ბოლოს, მეოთხე ნაწილში (andante lusubre) საკვირველი მელოდიით, რომლის აკორდებში გრძნობ ბედის ბრძანების გვერდის აუხვევლობას.

გადავედივარ რა შესრულების შეფასებაზე, უნდა ვსთქვა, რომ საზოგადოთ ივანე ფალიაშვილმა შესძლო სიმფონიის მუსიკალური შინაარსის გადმოცემა. მისი შესრულების დიდი პლიუსია, რომ შეუძლია გადმოცემა მთლიანი კომპაქტური ხმის. არ ისმის ცალკე საკრავები, არამედ, ასე გგონია, ორკესტრი ერთი დიდი საკრავია ხმათა ეფექტების მრავალფეროვანი სურათის მომცემი.

ფალიაშვილი ძლიერ დაწვრილებით ამუშავებს დინამიურ ნიუანსებს—არ იკარგება არც ერთი თემა, არც მთავარი და არც მეორე ხარისხოვანი. ორკესტრის ხმა ეფინება აუდიტორიას—ფრაზიროვკა ჩაფიქრებულია. მე არ ვეთანხმები მხოლოდ მეორე ნაწილს tempo-ს—ის მიდის ჩქარა (allegretto cov grazia)—გაუგებარია, ფალიაშვილი უცებ რატომ აჩქარებს მესამე ნაწილის ფინალს. მეოთხე ნაწილი იღებს ღრმა და მგრძნობიარე ხმებს.

მეორე საორკესტრო ნომერი იყო ჩაიკოვსკის მშვენიერი უვერტიურა „რომეო და ჯულიეტა". კომპოზიტორის ქაღალდებში ნახულია ესკიზი დაუმთავრებელ ოპერისა შექსპირის ამ ტრაგედიის თემაზე. დამთავრებულია მხოლოდ ერთი ეტიუდი—რომეოს და ჯულიეტას სიყვარულის ეპიზოდი. ამ ეპიზოდის თემა სრულიად შევიდა უვერტიურაში და შეადგენს მშვენიერ და დაუვიწყარ მელოდიას (andante), რომ განვითარების შემდეგ მიდის ექსტაზამდე.

მეორე თემა (allegro) გვიხატავს მონტეკტა და კაპულეტთა გვარის მტრობას, რომლებიც წარმოშობდენ ახალგაზრდა საყვარლებს—ერთმანეთის მტრობამ დაღუპა მათი ნათელი ბედნიერება. ფალიაშვილს ლირიკული თემა მიჰყავს სასტიკ რიტმის ქვეშ, რაც არღვევს თემის ხასიათს (სასიმღერო) (певучий). აქ უკეთესია თამაში. tempo ad libitum და უფრო legato უვერტიურა აგრეთვე შესრულებულ იქნა ძლიერ მუსიკალურად, თითოეული დირიჟორი რამოდენიმეთ აჰიანურებს სამარ ტემას (ომს).

კონცერტის ვოკალური მხარე მინდობილი ჰქონდა დანიელინს, რომელმაც შეასრულა დასრულებულათ მშვენიერი-პოეტური არიოზო იოლანტასი ჩაიკოვსკის ოპერიდან იმავე სახელწოდების, და მისი რამოდენიმე რომანსები.

არ ვეთანხმები მე მომღერლის მიერ „ბოში ქალის სიმღერის" შესრულებაში—აქ სრულიად არ უნდა პირველ თემის აჩქარება. მოქ. ინაშვილმა მშვენიერათ შეასრულა დობერტის ძნელი არიოზო ოპერიდან „იოლანტა და გამოიჩინა ხმის ტეხნიკა. არიის ტესიტურა ძლიერ მაღალია ბარიტონისათვის, მაგრამ ინაშვილმა გადალახა ძნელი ადგილები.

მუსიკოსი.

სახალხო სახლი.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის საღამო.

დღეს სახალხო სახლში გაიმართება ე. ჩერქეზიშვილის საღამო.

უეჭველად აღსანიშნავია, რომ ჩერქეზიშვილმა თავის საღამოსათვის სახალხო სახლი ამოირჩია და არა სხვა რომელიმე თეატრი.

და ეს იმიტომ, რომ გოცირიძე—ჩერქეზიშვილებისათვის სახალხო სახლი უფრო ახლობელია, ყოორე სხვა დარბაზები.

ამის დასაბუთება საჭირო არ არის, რადგან ყველასათვის ნათელი და გარკვეულია.

ვინ არის ე. ჩერქეზიშვილი?

ის გახლავთ ადამიანი, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ფარვანასავით დასტრიალებს მშობლიურ თეატრს და წმინდა სინთელივით უწვება ხელოვნების ტრაპეზ ს წინ.

თქვენ უეჭველად შეხვედრიხართ ქუჩაში ვერცხლის წყალივით მოსრიალე ქალს, რომლის სახე, ყოველ დღიური სცენაზე მუშაობით, დანაოჭებულა, მაგრამ ახალგაზრდული ხალისით გამოიყურება, ძალიან ბევრი თქვენგანს უნახავს ის კულისებში, როგორ ამხანაგებში ურევია და მისწრაფებულად იბუნჯობს.

და დღესაც, როცა ორმოც წელიწადს მიაღწია მისმა სათეატრო მოღვაწეობამ. მიცოლა ლიზა, დეიდა ლიზა, ბებია ლიზა და ვინ იცის როგორი სახელებით არ არის მონათლული ის ჩვენი მსახიობებისაგან, ის ჯანსაღათ არის, რომ „კიდევ ბევრს გაისტუმრებს საიქიოს აჰბის მისატანათ", როგორც თვითონ იტყვის ხოლმე. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ღვაწლი დიდია ჩვენს ღარიბ სცენაზე, მაგრამ ის განსაკუთრებით დაფასებულია მშრომელი ხალხისაგან

ელისაბედი პირველ დაძახებისთანავე გაჩნდებოდა და გაჩნდება ხოლმე საქართველოს ყველა კუთხეში. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თბილისის განაპირა უბნებში.

ელისაბედი მასიური მსახიობია და იმიტომაც მისი საღამო ხალხის თეატრში უნდა მოწყობილიყო.

დღეს ის გამოვა ფროზარის როლში და ერთხელ კიდევ დაგვატკბობს თავისი მოხდენილი განსახიერებით.

სრული იმედი გვაქვს, რომ სახალხო სახლის აუდიტორია დააფასებს ნიჭიერ მსახიობს და დაესწრება დღევანდელ საღამოს.

შანგანიძე.

— **გრიგოლ რობაქიძის საღამო.** კვირას, 29 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიმართება გრიგოლ რობაქიძის საღამო საგანგებო პროგრამით.

— **ელო ანდრონიკაშვილის წარმოდგენა.** ახლო ხანში რუსთაველის თეატრში, გაიმართება ელო ანდრონიკაშვილის საბენეფისო წარმოდგენა.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილ იქნება მეორედ „მაკბეტ".

— **ელისაბედ ჩერქეზიშვილის საღამო.** პარასკევს, 27 აპრილს, სახალხო სახლში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის ელისაბედ ჩერქეზიშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება „ორი ობოლი". უმთავრეს როლს შეასრულებს ჩერქეზიშვილი ადგილობრივი და აკადემიური თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **ზაქ. ფალიაშვილის კონცერტი.** ამ დღეებში, სახ. 1-ლ კონსერვატორიაში გაიმართება ზაქ ფალიაშვილის მეორე სიმფონიური კონცერტი ფართო შინაარსით.

პროვინციაში

ქ. ახალ-სენაკი.

წ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის გახსნა.

19 აპრილს სენაკის მაზრის პოლიტგანათლების მმართველობის მიერ მოხდა საზეიმო გახსნა წ. კ. უც. სალიკვ. სკოლისა პროფკავშირის წევრ მუშა-მოსამსახურეთათვის.

სალიკვიდაციო პუნქტები (1 საბჭ. მთლ. შრ. სკოლის შენობა) სათანადოდ იქნა მორთული ლოზუნგებით, სურათებით და პლაკატებით.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ: ა) თვით წერა-კითხვის უცოდინარი მუშები 30-მდე, ბ) განათლების და პოლიტგანათლების განყოფილებათა გამგენი, გ) პროფბიუროს და ყველა კავშირთა პ მგ. მდივნები, დ) საქ. ახალგ. კომკავშირის ქ სენაკის ორგანიზაცია და სამაზრო კომიტეტი და ე) რამდენიმე მასწავლებელნი, მოწაფენი და მოქალაქენი.

საზეიმო სხდომა გახსნა და პირველი სიტყვა წარმოსთქვა პოლიტგანათლების გამგე ამხ. ვ. ნადარეიშვილმა, რომელმაც, სხვათა შორის, მოიყვანა ამხ. ლენინის სიტყვიდან ადგილი, რომელშიაც ეს დიდებული მასწავლებელი ლაპარაკობს წერა-კითხვის და პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობაზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ქობულიამ, საბჭოთა მომუშავეების კავშირის პ. მგ. მდივან ამხ. სანდრო თურქიამ და საქ ახალგ. კომკავშირის სენაკის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპის გამგე ამხ. შ. კაჭარავამ.

ყველა ამხანაგებმა იმაზე, თუ როგორი სიბნელეში ამყოფებდა მუშათა კლასს მეფური მთავრობა, რას ნიშნავს ტეხნიკური წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რა გააკეთა ამ მხრით საბჭოთა მთავრობამ რუსეთში და საქართველოში და როგორია ამ დარგში მომავალი მუშაობის პერსპექტივები და სხვა. პოლიტგანათლების გამგემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქ. ახალსენაკის წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლა სულ მოკლე დროში უნდა გადაიქცეს პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლად, რომლის მნიშვნელობა დაუფასებელია და რომელიც მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას ათეულ მებრძოლს შეიარაღებულს ყველაზე უფრო ბასრი იარაღით—ცოდნით.

სიტყვებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვეს მუშებზე და დამსწრეებზე მუშების თვალები თითქოს გამოსთქვამდენ მათ უსაზღვრო სიხარულს და კმაყოფილებას, უკრავდა ორკესტრი...

საზეიმო გახსნის დასურვის შემდეგ შესდგა სხდომა მუშებისა, პოლიტგანათლების გამგის, სკოლის მასწავლებლის და პროფკავშირის წარმომადგენლის თანდასწრებით. გასარჩევი იყო მეცადინეობის დროის საკითხი. მიღებულ იქნა სამეცადინო დროთ საღამო 5—ნახევარ,—7 ნახევარ საათამდე. ერთმა მოხუცმა მუშამ განაცხადა, რომ ის მოხუცებულობის გამო უცოდინართა აღრიცხვაში არ აიყვანეს, მაგრამ თვითონ კი მაინც დაესწრო საზეიმო სხდომას და სურს იმეცადინოს, მხოლოდ თვალში სინათლის ნაკლულოვანება უშლის ხელს მაშინ პროფბიუროს მდივანმა აღუთქვა მას სათვალეების შეძენა.

წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად დანიშნულ იქნა—პედაგოგი—ანდრო ჯიქია.

მეორე დღეს ყველა გამოცხადდა სამეცადინოდ; ახლებიც ბევრი მოვიდა თავიანთი სურვილით.

სენაკელი კორესპონდენტი

ქ. სურამი.

აქ არსებობს მუშათა კლუბი, რომელსაც აქვს ხელოვნების და სხვა განყოფილებანი. მათ შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დრამატიული წრე, რომელიც დღიდან დაარსებისა, შეძლების გვარად, ემსახურება ხალხს. ზამთრის მთელი სეზონის განმავლობაში სისტემატიურად, კვირაში ორჯერ, იმართებოდა წარმოდგენები, რომლებსაც ხალხი ბლომად ესწრებოდა. წარმოდგენილი იქნა „გზა ჯვარედინზე", „ქრისტინე", „ხანუმა", „ნილაბ ქვეშ", „ძმის მკვლელი", „ციმბირელი", „სოფლის გმირები" და მრავალი სხვ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სურამის სცენაზე მოიძებნებიან რამდენიმე სასცენო ნიჭით დაჯილდოვებული სცენის მოყვარენი, როგორნიც არიან: ს. მელიქიშვილი, კ. ჭუმბურიძე ვ. დიდებულიძე, ალ. დათებოვი, ს. იაშვილი, ალ. ჩიქვაიძე, შ. შველიძე, ა. დავითიანი, ნ. ერისთავი, ან. სვანიძე, ს. მელაძე და სხვ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ წლის რეჟისორი—დამსახურებული სცენის მყვარე ს. მელიქიშვილი. ამის მიზეზითაა, რომ ყველა ეს სურიოზული პიესები იდგმება სრულიად დამაკმაყოფილებლად და ყოველივე სცენის მოყვარეს ეტყობოდა წინასწარი ენერგიული მომზადება. აგრედვე ყურადღების ღირსია ახალგაზრდა სცენის მოყვარე ქალი, ნინო ერისთავი, რომელსაც თავისი ნიჭიერი და მოხდენილი თამაშით არა ერთხელ დაუტკბია სურამის საზოგადოება. მისი მუშაობის აღსანიშნავად სურამის დრამატიული წრის მიერ გამართულ იქნა ბენეფისი. წარმოდგენილი იქნა გერგუსელის პიესა „ნილაბ ქვეშ". საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეეგება თავის ერთგულ მუშაკის სადღესასწაულო წარმოდგენას, ახალგაზრდა სცენის მოყვარე დააჯილდოვეს მხურვალე ტაშით და საჩუქრებით.

ვუსურვებთ სურამის დრამატიულ წრეს, მთელი თავისი შემადგენლობით, ნაყოფიერ შრომას, ხოლო სურამის საზოგადოებას მეტ თანაგრძნობას, რათა პროვინციალურ სცენასაც ეღირსოს ბრწყინვალე დღეები.

ო. გ.

სოფ. სადახლო (ბორჩალოს მაზრა),

ა. წ. პირველ აპრილს მოხდა სადახლოს თემის მცხოვრებთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სამასზე მეტი კაცი. კრება გახსნა თემის ალმასკომის თავმჯდომარემ ამირახ მამედ-ოღლიმ. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ლეონტი ქებურია, მდივნად ახ. მაქსიმოვი.

დღის წესრიგი იყო: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) საკითხი სოფ. სადახლოში რაიონული მომხმარებელ საზოგადოების გახსნის შესახებ.

მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა თათრულ ენაზე ამხ. ლეონტი ქებურიამ, რომელიც დაწვრილებით შეეხო რუსის ოლქის მდგომარეობას, ოსმალეთის დამოკიდებულებას ანტანტასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან, საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობას. კერძოდ დაახასიათა საბჭოთა საალმშენებლო მუშაობა საქართველოში, აგრარულ რეფორმის გატარება და სხ. კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ჩვენ, სადახლოს თემის მცხოვრებლები, სრულიად ვიზიარებთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ მიზანშეწონილ ნაბიჯებს და მზათა ვართ მთელი ჩვენი ძალით, ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოთ მათ განხორციელებას".

რაიონული მომხმარებელ საზოგადოების გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ქებურია. ის ვრცლათ განუმარტავს კრებას კოოპერატივის მიზანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი, ცდილობს ყველგან იქნას გახსნილი კოოპერატივები, რათა ამით მიეცეს საშუალება გლეხებს იაფად საჭირო საქონლის შეძენისა და თავის მეურნეობის ნაწარმოების უშუალოდ გასაღებისა, რომ საბჭოთა მთავრობა „ცეკავშირის" სახით აძლევს კოოპერატივებს დიდ დახმარებას. როგორც საქონლით, ისე ფულითაც, რომ ახალშენი ლიუკსენბურგში დაარსდა სამაზრო კომისია, რომლის სათავეში დგანან პასუხისმგებელი ამხანაგები და რომლის მიზანს შეადგენს მთელს მაზრაში კოოპერატივების დაარსება.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება—გახსნილ იქნას ს. სადახლოში რაიონული სამომხმარებლო ამხანაგობა; მიღებულ იქნა საწევრო გადასახადი 25 კაპ. და საპაიო გადასახადი—1 მანეთი ოქროს კურსით. არჩეულ იქნა ერთხმად საინიციატივო ჯგუფი შემდეგი პირებისაგან: 1) ბედი გუსეინ ოღლი, 2) გიორგი მელიქოვი, 3) მუსტაფა გამეღოვი, 4) მაგომედ ქერიმ ოღლი და 5) მაგომედ ელჩი ოღლი, საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მასწავლებელი მუსტაფა მამედოვი.

ლუ—ქია.

მადლობა

(წერილი რედაქციის მიმართ).

გთხოვთ, ამხანაგო რედაქტორო, თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

15 აპრილს მე მივემგზავრებოდი ქ. ბათომიდან ქობულეთში. ერთ ღარიბ აჭარელს ეყიდა ორი ბილეთი: ერთი თავისთვის და ერთიც ამხანაგისთვის. მხოლოდ შემთხვევით ამხანაგი არ მოვიდა და ხსენებულ აჭარელს ორი ბილეთით მოგზაურობა მოუხდა და ცდილობდა მეორე ბილეთისთვის მიეყიდა და კიდევაც მიყიდა ერთ [illegible] ნაცნობს. ამ დროს ჩამოიარა რევიზორმა და ბილეთის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გაყიდული დრო გასული იყო. რევიზორი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა და ხსენებული ღარიბი მილიციონერს ჩააბარა. მე ვიცნობდი ამ ღარიბ აჭარელს, ვერ მოვითმინე მისი აცრემლებული თვალები და გავყევი უკან იმ მიზნით, რომ არ დაეჯარიმებიათ მილიონ ოთხასი ათ. მანეთით, არამედ, მხოლოდ ის ფასი გადაეხდევინებიათ, რაც ღირდა ჩვეულებრივ. ბილეთი ღირს ასი ათასი მანეთი) ასეც მოვიქეცი და კუპეში შესვლის დროს რევიზორთან ერთად დამხვდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის წევრნი ამხ. ლეჟავა და მორჩილაძე.

მე მათ გავაცანი თავი, რომ ვიყავი აჭარისტანის საბ კომ. საბჭოს რწმუნებული და ვთხოვე, რომ ჩარეულიყვნენ ამ საქმეში. მათ აიღეს და თავიანთ ჯიბიდგან მილიონ ოთხასი ათასი მანეთი ჩააბარეს რევიზორს, რევიზორმა საჯარიმო ოქმის ფურცელი გადასცა ღარიბ აჭარელს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა საქციელი ღარიბ მუშისათვის დაუფასებელია, რითაც ყველა აღფრთოვანება. ამიტომ ხსენებულ ამხ. ლეჟავას და მორჩილაძეს ღრმა მადლობას უძღვნი ამ ღარიბ მუშის დახმარებისათვის.

აჭარისტანის საბკომსაბჭოს რწმუნებული აჭარელი.

ბ ნო რედაქტორო! გთხოვთ მოგვცეთ საშუალება თქვენი გაზეთით განვაცხადოთ: სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საისტორიო-სალიტერატურო წრის გამგეობის უკანასკნელმა სხდომამ, მოისმინა რა მოხსენება რუსთაველის თეატრში, მარტის 20, ამავე წრის სასარგებლოდ გამართულ საღამოს ანგარიშების შესახებ, დაადგინა: დიდი მადლობა გამოუცხადოს ბ ბ. ალ. წერეთელს, დ. ჩხეიძეს (თეატრის კომისარს) ი. ლობჟანიძეს და ნ. ადამიას იმ ხელშეწყობით დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს საღამოს გამართვის საქმეს.

წრის თავმჯდომარე ალ. ბარამიძე.

წრის მდივანი გ. თაყაიშვილი.

მენშევიკების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზ. „კომუნისტში" გამოაცხადოთ შემდეგი:

„ამით ვაცხადებ, რომ გამოვდივარ მენშევიკურ პარტიიდან და ყოველივე პოლიტიკურ მუშაობას თავს ვანებებ. მიზნათ მაქვს დასახული გულწრფელათ ვემსახურო ჩემ პროფესიას—მასწავლებლობას.

მასწავლებელი ლეონტი დავ. ჭიპაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 89.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გადიდების შესახებ.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადისათვის რეალური ღირებულების შესანარჩუნებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადიდებულ იქნეს აღნიშნული წლის საშემოსავლო გადასახადი ქალაქებში და ქალაქთა მოსახლეობაში შემდეგ ნაირად:

ა) იმ პირთათვის, რომლებიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს 20 კატეგორიამდე—ამა კატეგორიითურთ—სათანადო ცხრილის მიხედვით (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მთავრობის 61-№-რის დეკრეტის თანახმად) გადასახადის რაოდენობა გადიდებულ იქნეს ორჯერ.

ბ) ღ ნარჩენ [illegible] გადამხდელთათვის აღნიშნული გადასახადი გადიდდეს სამჯერ.

2. ამა გადიდების შესახებ ეცნობოს გადამხდელთ პუბლიკაციის მეშვეობით, ხარჯის ფურცლების დაუგზავნელათ.

3. გადაიდოს—საურავი დაუდებლად—1922 წლის საშემოსავლო გადასახადის ხაზინაში შეტანის ვადა მიმდინარე წლის მაისის 15 დე.

4. იმ პირთ, რომლებმაც უკვე შეიტანეს წინად აღრიცხული საშემოსავლო გადასახადი და ზედდრი საურავი, უკანასკნელი (საურავი) ჩაერიცხოს ძირითად გადასახადში.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 23.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, ა. წ. 28 აპრილს საქ. კომ. ცენ. კომ. საგიტაციო-ს პროპაგანდო განყოფილების შენობაში დანიშნულია საპროგრამო-მეთოდიური კურსის სხდომა.

მიწვეულნი არიან ამ-ბი ბუაჩიძე ანდრო, ობიძე იზმაილი, თათარაშვილი ა. გალაქტიონ, თალაკვაძე ისიდორე, დუდუჩავა, ალავარდიანი, ცინცაძე ივანე, ესსენია, ჩიხლაძე ს., ხაჭაპურიძე და პუტილოვი.

— ხუთშაბათს, 26 აპრილს—[illegible] და მუსიკის ქვესექციის მორიგი კრება.

— ხუთშაბათს, 27 აპრილს, ქართულ ენის ქვესექციაში პროფეს. უზნაძის მოხსენება თემაზე: ინტერესების და იდეალების განვითარება ქართველ ბავშვებში.

— ხუთშაბათს, 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე რუსულ ენის ქვესექციაში—მთელი რიგ კოლექტიური მუშაობის შესახებ, რომელიც ჩატარდა სკოლებში.

განცხადებანი

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ვარლამ და ცოცი (მარიამი) ძიძიგურები, დიდდედა ელისაბედ მიქელაძისა, რძლები: მატრო და საშა ძიძიგურებისა, იულია გვახარიასა და გუცა ჩიქოვანისა და ბიძები ნესტორ და ლავრენტი ძიძიგურები და ალექსანდრე და აკაკი გვახარიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი საყვარელი

აჩიკოს (არჩილი)

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ სახლიდან (რაკეტის ქუჩა № 2) იოანე ღვთისმეტყველის სასაფლაოზე.

595—1—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ივლიტე, მეუღლე ელენე, ძმები—დიმიტრი, ილიკო და დავით; და—ოლია; რძლები—ეგრაფინა და ბაბილიანა; სიძეები—ვასილ და შალვა აუწყებენ ნათესავთ, მეგობარი და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ლექსო) პ ვლესძე

პიტახია

დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან (პლეხანოვის პრ, № 65) პარასკევს, 27 აპრილს. ნაშუადღევის 5 საათზე.

597—1—1

დღეს, 26 აპრილს,

სახელმწიფო **ოპერა**

გედის ტბა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კრ. 342—1—1

დღეს, 26 აპრილს,

რუსთაველის **თეატრი**

მაკბეთი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 343—1—1

ტყე დახერხილი

სხვადასხვა ზომის

იყიდება ხუმბათოვის ბორჯომის მამულის ქარხანაში.

მიიღება შეკვეთა დამზადებაზე.

სახელ. ორგ., კოოპერატივები, სხვა ორგ. და კერძო პირები მიწვეულნი არიან მხარი კონტრაქტის შესაკვრელად ქარხნის მიერ დახერხილი ტყის მიწოდებაზე 30—40 ათასი კვადრატიული ვერშოკამდე ყოველთვიურად.

მისამართი: თბილისი, სასპირის ქ. 37, მთავარი საკურორტო სამმართველოს მრეწველობის განყოფილება.

344—3—1

საჯარო ვაჭრობა

თბილისის ალმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 30 აპრილს დილის 12 საათზე ალმასრულებელ კომიტეტის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორების (თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის (და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში. დაწვრილებითი კონდიციის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე ალმასკომში ოთახი № 50.

4—1

თბილისის ალმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ 1923 წ. 29 აპრილს, დილის 10 საათ., ალმასკომის დარბაზში (№ 12)

დანიშნულია

შეჯიბრება

ალმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. **მაგარი ხარისხის შეშის** დამზადებაზე ფრანკო-ალმასკომის საწყობებში.

შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივადაც.

კონდიციები მიიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა. წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში ალმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველგვარ ცნობებს ამის შესახებ აძლევს ალმასკომის კომენდანტურა.

5—2

ელექტრობის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ [illegible]შვილის სახელობის

[illegible]

ექ. **სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვ[illegible]

[illegible] № 20. (601—25—11)

ქ. თბ. მე-2-ე რაიონის სახალხო სასამართლო

[illegible]

518—1—1

სახალხო მოსამართლე [illegible]

დაიკარგა [illegible] 592—1—1

დაიკარგა [illegible] 598—1—1

დაიკარგა [illegible] 594—1—1

დაიკარგა [illegible] 596—1—1

დაიკარგა [illegible] 581—2—

[illegible]